

სული კბილით ეჭირა, როდის უზრუნველყოფდა თავის სამთავროს უშიშროებას და რადგანაც ძალა იმერეთის მზარეზე იყო, **კუდი ყავარზე გახდო** — დაზავების საფასურად მისი ჯარების მიერ სანახევროდ უკვე დაკავებული ლეჩხუმი მოითხოვა“ (რ. ჯაფ.).

ამ წინადადებებში **კუდი ყავარზე გახდო** (გავდე) ნიშნავს: გაჯიუტდა (გავჯიუტდი), გაჯიქდა, ნათქვამი აღარ გადათქვა, დაიჩემა... ამგვარი მნიშვნელობით კი აღნიშნული გამოთქმის ხმარება სალიტერატურო ენის ტრადიციისათვის მიუღებელია.

კუთხური ნაცვლად **კუთხური დარტყმისა** მსაზღვრელ-საზღვრულის ზეპირი გზით გამარტივების შედეგია. სალიტერატურო ენაში ამგვარი ფაქტების შეფასებისათვის იხ. **უმალღესი**.

კურსი და **გეზი** მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. იხ. **გეზი, კურსი**.

ლ

ლაფი გადაავლო. თანამედროვე ქართულში გავრცელებული გამოთქმებია, ერთი მხრივ, იდიომური გამოთქმა **თავლავის დასხმა**, **ლაფი დაასხა თავზე**, **ლაფში ამოხვარა** (საქვეყნოდ შეარცხვინა, თავი მოსჭრა, ძალიან შეარცხვინა) და, მეორე მხრივ, თავისუფალი შესიტყვება **წყალი გადაავლო** (წყალი დაასხა, წყლით გარეცხა). ამ გამოთქმების ასოციაციით ჩანს შეთზული პრესის ენაში დადასტურებული შესიტყვება **ლაფი გადაავლო**: „აღშფოთებით დაგმეს ისინი, ვინც... თავისი კოლექტივის ღირსება არარად ჩაავდო, **ლაფი გადაავლო** მთელ კოლექტივს [სწორია: ლაფში ამოხვარა კოლექტივის სახელი]“ („კომ.“).

მ

მალე — ჩქარბ ზმნისართებს სინონიმური მნიშვნელობა აქვთ. **მალე** ნიშნავს: მოკლე დროის განმავლობაში, — **ჩქარა**; **ჩქარა** — 1. სწრაფად, მცირე დროის განმავლობაში; 2. მალე, დაუხანებლად.

მალე დროის ზმნისართია, **ჩქარა** — ვითარებისა. (ა. შანიძე). **მალე** გვიჩვენებს, რომ დრო, რომლის განმავლობაში ხდება მოქმედება, არის მცირე, მოკლე, ხანმოკლე. **ჩქარა** მოქმედების ვითარებას წარმოაჩენს, — ახასიათებს მოქმედებას, როგორც სწრაფად, დროის მცირე მონაკვეთში მიმდინარესა თუ შესასრულებელს.

მნიშვნელობათა ერთგვარი სიახლოვის მიუხედავად, ეს ზმნისართები განსხვავებულ სიტყვებთან ქმნიან შესიტყვებებს და, შესაბამისად, მათ განსხვავებულ კონტექსტებში იყენებენ.

მალე ზმნისართით შედგენილი ბუნებრივი შესიტყვებებია: *მალე მიხვდა*, *მალე გაერკვა* (საქმის ვითარებაში), *მალე დაბრუნდა*, *მალე გაზაფხულდება* და სხვ. მაგ.: „*მალე მტერი მოგვიკვდეს*, *მალე მე იმას ფერი ეაცვლევიანე*“ (ილია); „*დაეჩეკე წვრილი ბარტყები*, *დამეზრდებიან მალეო*“ (ვაჟა); „*დროს არ უყვარს დიდხანს დგომა და ყვავილებს ართმევს დიბას*, *მალე მოვა შემოდგომა და ყველაფერს გადათიბავს*“ (გ. ტაბ.); „*მალე გაზაფხული მოვა*“ (ფილმის სახელწოდება); „— *წადით*, *მაგრამ ნუ დაიგვიანებთ*, *მალე მოდით!*“ (ო. იოს.); „*სამწუხაროდ*, *იგი მალე გადაიღალა და ბრძოლას გამოეთიშა*“ („ლელო“); „*სხვათა შორის... ამ სიტყვების სიმართლეში მალევე დავრწმუნდით*“ („სოფლ. ცხოვრ.“); „...*კურდღელმა ფეხს აუჩქარა*, *რომ მალე მისულიყო ბაზარში*“ („საზღ. ხალხ. ზღაპ.“).

მალე ზმნისართით არის შედგენილი კომპოზიტები — *მალემსროლი* და *მალეფუჭებადი* (პროდუქტები).

ჩქარა ზმნისართით შედგენილი ბუნებრივი შესიტყვებებია: *ჩქარა დადის* (შდრ. *ჩქარი სიარული*), *ჩქარა ლაპარაკობს* (შდრ. *ჩქარი ლაპარაკი*).

ჩქარა მეტწილად ბრძანებით წინადადებებში იხმარება, ჩვეულებრივ, ზმნის გარეშე გვხვდება, თუმცა ზმნის აღდგენა მასთან ყოველთვის ადვილად შეიძლება. მაგ.: „*ისე... ჩქარა მიდიოდა*, *თითქო უკან მტერი ეგულებაო*“ (ილია); „*ის გალახულ ძალივით აედევნა ჩქარა მიმავალ ქალს*“ (რ. გვეტ.); „*შეეხვეწა*: *აბა ჩქარა მოამზადე ვახშამიო*“ (აკაკი); „*აანთეთ ჩქარა შუშუნები და მაშხალები!*“ (ი. გრიშ.); „— *ჩქარა*, *თორემ დამაგვიანდა*, — *აჩქარებდა იგიო*“ (ა. ბელ.); „*გოთენდა*. *ცეცხლის მზე აენთო*, *აცურდა... დროშები ჩქარა!*“ (გ. ტაბ.).

ჩქარა ზმნისართის ფუნქციით გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება სწრაფად ზმნისართი შეგვხვდეს. მაგ.: *ჩქარა // სწრაფად დადის*, *ჩქარა // სწრაფად ლაპარაკობს*, *ჩქარა // სწრაფად მიმავალი ქალი და სხვა* საპირისპირო მნიშვნელობა აქვს ზმნისართს *ნელა*. შდრ.: *ნელა დადის*, *ნელა ლაპარაკობს*, *ნელა მუშაობს...*

ენაში *მალე* და *ჩქარა* ზმნისართთა სემანტიკური აღრევისა და, შესაბამისად, მათი უმართებულოდ გამოყენების შემთხვევებიც შეინიშნება.

მაგ.: „— *ამიხსენით* [აჯობებდა: მითხარით], *გეთაყვა*, — *მიმართა ერთ ახალგაზრდას რუსეთიდან ჩამოსულმა სტუმარმა*, — *ეს რომელი მიშა გავაა? მე კარგად მახსოვს ასეთი* [აჯობებდა: ამ] *გვარისა და სა-*

ხელის სპორტსმენი, რომელმაც 50-იან წლებში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა... — არა, პატივცემულო, — განუმარტა ახალგაზრდამ, — ის მიშა ჩქარა სამოცს მიაღწევს და ამჟამად ფიზკულტურის ინსტიტუტში მუშაობს“ („ლელო“). ის პირი, რომლის შესახებაც საუბარია მოყვანილ კონტექსტში, როგორც ჩანს, სულ მალე, ცოტა ხანში (და არა: ჩქარა) სამოცს მიაღწევს.

„გავიგე ვინცა ხართ. ამიტომ მოვედი თქვენთან. ჩქარა [უნდა იყოს: მალე] გაეწერებით საავადმყოფოდან?“ („თბილ.“); „ადვილი მოსალოდნელია [აჯობებდა: შესაძლებელია], რომ უტხო მძლოლი ერთ დღეს არხში ჩაგარდეს და ტრაგედიაც დატრიალდეს. ვფიქრობთ, ახლა მაინც მიიღებენ ზომებს სათანადო ადგილობრივი ორგანოები და რაც შეიძლება ჩქარა [უნდა იყოს: მალე] შეაკეთებენ ხიდს“ („კომ.“); „თუ აორტა შევიწროებულია, იგი ვერ შეძლებს ასეთი კოლოსალური დატვირთვის ატანას. აქ შეიძლება ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდეს ადამიანი. ეს მდგომარეობა თავიდან უნდა ავიცილოთ რაც შეიძლება ჩქარა [უნდა იყოს: მალე]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „...წარმოდგენილი მქონდა დამსწრე ხალხის [აჯობებდა: დამსწრეთა; იქ მყოფთა] აცრემლებული სახეები და მათი მუდარა — ჩქარა [უნდა იყოს: მალე] დაბრუნდითო“ (ა. ბელ.).

მალე და ჩქარა ზმნისართთა უმართებულოდ გამოყენების შემთხვევები გასული საუკუნის მწერალთა ნაწერებშიც დასტურდება. მაგ.: „ჩქარა [უნდა იყოს: მალე] აფხაზეთმა მაცხოვრის მაგივრად მაჰმადს დაუწყო თავიანის ცემა“ (ი. გოგება.); „სვიმონშა ჩაიბარა ნაჩალნიკობა, შეუდგა ახალს სამსახურს და ჩქარა [უნდა იყოს: მალე, მოკლე ხანში] ისეთი გავლენა და ძალა მოიპოვა საზოგადოდ მთის ხალხში, რომ ყველა შურითა და კრძალვით უყურებდა“ (ა. ყაზბ.).

ენაში საპირისპირო შემთხვევაც შეინიშნება — მოსალოდნელი ჩქარა ზმნისართის ნაცვლად მალე ზმნისართია ნახმარი: „შუა ქუჩაში სწრაფად მიმავალ ავტომანქანას უცებ კაცი გადაუდგა. მძლოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა. — მალე, მარტენში მიმიყვანე! — ეუბნება მძლოლს ვლადიმერ ბლოხინი“ („კომ.“). როგორც კონტექსტით ირკვევა, ქარხანაში საგანგაშო მდგომარეობაა — ქარს მძიმეტრიანი ლითონის მილი გადაუხრია. მგზავრი — სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მემალღივე მემონტაჟე — აჩქარებს მძლოლს, მოუწოდებს მას ჩქარა — დაუყოვნებლად, სასწრაფოდ მიიყვანოს იგი შემთხვევის ადგილას. შესაბამისად, ჩქარა ზმნისართი უნდა ყოფილიყო და არა მალე.

მანძილი; მანძილზე. მანძილი ორ პუნქტს შორის მოქცეული სივრცის სახელია. ამ სიტყვის შემცველი ბუნებრივი შესიტყვეებია:

დიდი მანძილი, ახლო მანძილი, შორი მანძილი, გავლილი მანძილი, მანძილის გაზომვა და მისთ.

სიგრძის ანუ მანძილის საზომი ერთეულებია: კილომეტრი, მეტრი და სხვ. სანტიმეტრებით ან უფრო პატარა საზომით გასაზომ (ან გაზომილ) მონაკვეთზე მანძილი არ ითქმის.

თანამედროვე ქართულ სიტყვათხმარებაში გვხვდება **მანძილ-**სიტყვის გამოყენება აზრობრივად გაუმართლებელ სიტუაციებში. კერძოდ: 1. მანძილის გასაზომი ერთეულების სახელებთან (კილომეტრი, მეტრი) მანძილის გამოყენება ტავტოლოგიურ შესიტყვეებებს ქმნის. მაგ.: „**5 კმ მანძილი** [ზედმეტია: მანძილი] გაიარა“ („ლელო“); „ფინიშამდე **10 მ მანძილი** დარჩა [უნდა იყოს: 10 მ დარჩა]“ („ლელო“); „თითქმის თერთმეტი წელი დასჭირდა ღია ბარათს, **ათი კილომეტრი მანძილი** [ზედმეტია: მანძილი] რომ გაეგლო“ („საქ. ქალი“); „ქალაქიდან **56 კმ მანძილზე** [უნდა იყოს: 56-ე კმ-ზე] ავტობუსი შეაჩერეს 10 წუთით“ („ალგებ.“, VII კლ.); „მისი წინამორბედი ფელტრი „უიგულს“ მხოლოდ **10 ათას კილომეტრ მანძილზე** [უნდა იყოს: 10 ათას კილომეტრზე] ჰყოფნიდა“ („კომ.“) და მისთ. შესაძლებელია ამგვარ შესიტყვებათა ჩმარება ნაკარნახევია აზრის სიზუსტისა და სიტხადის სურვილით, მაგრამ აშკარაა, რომ შესიტყვევები **კმ მანძილი, მ მანძილი** ტავტოლოგიურია. საკმარისია მხოლოდ მანძილის საზომი ერთეულების მითითება (კმ, მ).

2. **მანძილი** ზოგჯერ შესიტყვებაში ზედმეტია სხვა მიზეზით, ის ვერავითარ ინფორმაციას ვერ იძლევა და უიმისოდ უნდა გაიმართოს წინადადება. მაგ.: „**მთელი გვერდის მანძილზე** [უნდა იყოს: მთელ გვერდზე] რომ მოეცა ავტორს განრისხებული ვარსკენის დხასიათება, ამაზე თვალნათლივ მაინც ვერ წარმოგვიდგენდა მას“ („ცისკ.“); „**შვიდი გვერდის მანძილზე** ამ მოთხრობაში [უნდა იყოს: ამ შვიდგვერდიან მოთხრობაში] მწერალმა დაგვიხატა მკაფიო და ცოცხალი სახე ნაწარმოების გმირისა“ („ქართ. ლიტ.“, X); „**პოემის მანძილზე** [უნდა იყოს: პოემაში] ავთანდილი იზრდება, როგორც პიროვნება“ („მნათ.“) და სხვ. ამ უკანასკნელ შენთხვევაში **მანძილ-**სიტყვის გამოყენებით იმის გასაზვა სურთ, რომ პოემაში თანდათანობით ვლინდება ავთანდილის პიროვნება, მაგრამ საამისოდ არასწორი საშუალებაა შერჩეული.

3. სახელი **მანძილი** იხმარება ღროის მონაკვეთის აღსანიშნავადაც. მაგ.: „**აღამიანთა ცხოვრებაში წელიწადი დიდი მანძილია**“ (შ. ღად.). მაგრამ ასეთი ვალატანიტი მნიშვნელობით გამოყენება ინდივიდუალურია. შეიძლება ამგვარი გამოყენება განდა საფუძველი იმისა, რომ **მანძილი** -ზე თანდებულთ იხმარება ღროის აღმნიშვნელ სიტყვებთან

ერთად დროის გარემოების ფუნქციით და ნიშნავს: **განმავლობაში** (ორი წლის მანძილზე იგივეა, რაც ორი წლის განმავლობაში). რაკი გვაქვს დროში მიმდინარეობის ხანგრძლივობის აღსანიშნავად სიტყვა **განმავლობაში**, **მანძილ-** სიტყვის ამ ფუნქციით გამოყენებაზე სალიტერატურო ქართულმა ხელი უნდა აიღოს, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ ამგვარ შემთხვევებში გამორიცხული არ არის ტავტოლოგია. მაგ.: „მოსკოვში გაიხსნა და ერთი თვის მანძილზე [უნდა იყოს: ერთ თვეს] გასტანს დათო კრაწაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა“ („ახ. კომ.“); „მხატვრის 250-ზე მეტი ნამუშევარი მოსკოვში ერთი თვის მანძილზე [უნდა იყოს: ერთ თვეს] იქნება გამოფენილი“ („ახ. კომ.“); „უკანასკნელი წლების მანძილზე [უნდა იყოს: უკანასკნელ წლებში] მკვეთრად შემცირდა პირუტყვის დაცემა“ („კომ.“); „დროთა მანძილზე [უნდა იყოს: დროთა განმავლობაში] წყალმა ჩამორეცხა წარწერა“ („მნათ.“); „მათი ნიჭის თაყუანისმცემლები ვართ ზოლმე კარგა ხნის მანძილზე [უნდა იყოს: კარგა ხანს, ან: კარგა ხნის განმავლობაში]“ („ლელა“) და სხვ. მაგალითები ცხადყოფენ, რომ **მანძილზე** ფორმა ხან მეტია შესიტყვებაში, ხან კი იგი უნდა შეიცვალოს სიტყვით **განმავლობაში**. მაგ.: „გასული პერიოდის მანძილზე...“ („ახ. კომ.“) აუცილებლად უნდა შეიცვალოს შესიტყვებით: **გასულ პერიოდში**, მაგრამ წინადადებაში „ექვსი წლის მანძილზე იგი ხულიგნობისათვის ორჯერ იყო სამართალში“ („კომ.“) აჯობებდა გამოთქმა: **ექვსი წლის განმავლობაში**.

მანძილ- სიტყვის ამ ფუნქციით გამოყენება გამხდარა საფუძველი ტავტოლოგიური შესიტყვებისა: **ხანმოკლე ან ხანგრძლივი მანძილი**. მაგ.: „მეტად ხანგრძლივი ათასწლეულების მანძილზე [უნდა იყოს: ათასწლეულების განმავლობაში; ზედმეტია: ხანგრძლივი] ადამიანები იღებდნენ განათლებას კოსმოსური და სტიქიური მიზეზების შესაბამისად“ („სკ. და ცხოვრ.“); „**ხანგრძლივი დროის მანძილზე** [უნდა იყოს: დიდი ხნის განმავლობაში] მეცნიერთა კვლევის საგანი იყო ვეფხისტყაოსანი“ („თბილ.“); „ოცდაათი წელიწადი იცოცხლა ესენინმა და ამ ხანმოკლე მანძილზე [უნდა იყოს: ამ მოკლე ხანში] დიდი პოეტური მემკვიდრეობა დატოვა“ („კომ.“).

მასწავლებელი და პედაგოგი სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. იმ მსგავსებისა და განსხვავების შესახებ, რომელიც მათ გამოყენებას ახლავს, იხ. **პედაგოგი — მასწავლებელი**.

მატი პირველობაზე. სპორტული პრესის ენაში ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება შესიტყვებები **მსოფლიო პირველობის მათი** და **მატი მსოფლიო პირველობაზე**. -ზე თანდებულებანი კონსტრუქცია (მატი მსოფლიო პირველობაზე) რუსულის კალკია (შდრ.

მატჩი) на первенство мира). უპირატესობა ნათესაობითბრუნეიან კონსტრუქციას (მსოფლიო პირველობის მატჩი) უნდა მიენიჭოს. მაგალითად: „მატჩები მსოფლიო პირველობაზე“ („კომ.“ — რუბრ.). [აჯობებდა: მსოფლიო პირველობის მატჩები]; „პრეტენდენტის გამარჯვებით დასრულდა მსოფლიო პირველობაზე [უნდა იყოს: პირველობის] მატჩის 21-ე პარტია“ („კომ.“); „შაბათს ბიჭვინთაში საზეიმოდ დაიხურა მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ქალთა შორის“ („კომ.“). [აჯობებდა: ბიჭვინთაში საზეიმოდ დაიხურა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩი]; „1966 წელს მსოფლიო პირველობაზე [უნდა იყოს: პირველობის] მატჩში ტ. პეტროსიანმა წონაში ექვსი კილოგრამი დაიკლო“ („კომ.“); „1969 წლის შემდეგ არ მომხდარა, რომ ორი მატჩი მსოფლიო პირველობაზე [უნდა იყოს: მსოფლიო პირველობის ორი მატჩი] ერთმანეთს დამთხვეოდეს“ („თბილ.“); „სადგამართება მატჩი მსოფლიო პირველობაზე? [აჯობებდა: ... მსოფლიო პირველობის მატჩი]“ („კომ.“); „ტალმა მსოფლიო პირველობაზე [უნდა იყოს: პირველობის] მატჩში თვით ბოტვინიკიც გაანადგურა“ („ლელო“); „იგი [ფსიქოლოგი] ჰყავდა, მაგალითად, ა. კარპოვს ორივე მატჩში მსოფლიო პირველობაზე [უნდა იყოს: მსოფლიო პირველობის ორივე მატჩში]“ („ლელო“). შდრ.: „მ. ლიტინსკაია ლიდერობს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩში“ („ლელო“).

მალალი. ზედსართავი სახელი მალალი ასე განიმარტება: დიდი სიმაღლისა, ქვევიდან ზევითკენ დიდი ზომისა (საპირისპ. დაბალი); მიწის ზედაპირიდან შორს მყოფი, ზღვის დონიდან დიდი სიმაღლისა (აღგილი). ბუნებრივი ქართული გამოთქმებია: მალალი კაცი, მალალი მთა, მალალი ხე... მალალი იხმარება ისეთი საგნის ან მოვლენის დასახასიათებლადაც, რომელიც შეიძლება გაიზომოს სიგრძის ერთეულით ვერტიკალურ სკალაზე: მალალი ტემპერატურა, მალალი წნევა, მალალი სიჩქავე, მალალშაქრიანობა, მალალი ჰემოგლობინი... იხმარება ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითაც — ისეთი განყენებული სახელების მსახლერელად, როგორცაა შეგნება, იდეალი; აგრეთვე — დონე და ხარისხი (რომელთა მატება, აწევა, ამაღლება შესაძლებელია).

თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით პრესის ენაში, ზედსართავმა მალალმა განსაკუთრებული სტილისტიკური დატვირთვა მიიღო. იგი ლამის დაშორდეს თავის ძირითად მნიშვნელობას და მხოლოდ ქარბ ექსპრესივად იქცეს. სახელდობრ: 1. მალალი გამოიყენება მსახლერელად როგორც კონკრეტულ, ისე განყენებულ არსებით სახელებთან, როცა სურთ ხაზი გაუსვან ამ სახელებით გამოხატული საგნებისათუ მოვლენების განსაკუთრებულ სიკარგეს, სიკეთეს, სიდიდეს, სიუხვს... ამდენად, მალალი დღენის ხმარებიდან ზედსართავ სახელებს:

კარგი, კეთილი, ჩინებული, უხვი, დიდი (და მათ უფროობითი ხარისხის ფორმებს: უდიდესი, უკეთესი, ასევე საუკეთესო,...). ვიღებთ არასწორ შესიტყვებებს. მაგ.: „შრომამაც გაგვიშართლა — მაღალი [უნდა იყოს: უხვი ან დიდი] მოსავალი მივიღეთ“ („ლენ. დროშა“); „კოლმეურნეობამ ყურძნის მაღალი [უნდა იყოს: უხვი] მოსავალი მოიყვანა“ („ლენ. გზით.“); „პროფესიონალი პოეტები... მეფეთაგანვე ლებულობდნენ შრომის მაღალ [უნდა იყოს: დიდ] საზღაურს“. (გრ. აბაშ.); „საკმაოდ მაღალი [უნდა იყოს: დიდი] ჰონორარიც მივიღე“ (ა. კიკნ.); „მანქანას მაღალი [უნდა იყოს: დიდი] წარმადობით ამუშავებენ“ („ლენ. გზით“); „როგორ ვალწევთ მაღალ [უნდა იყოს: კარგ ან უხვ] წველადობას“ („ლენ. გზით“); „ეს ყველაზე მაღალი [უნდა იყოს: საუკეთესო] მაჩვენებელია მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის“ („კომ.“); „სპორტული შედეგი ძალიან მაღალია [უნდა იყოს: საუკეთესოა, შესანიშნავია“ („თბილ.“); „მისაღებია ზოგიერთი მაღალი თვისებები [უნდა იყოს: კეთილი, კარგი თვისება], რომელთაც ეს აღზრდა ავითარებს“ („ლენ.“); „ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ოქქის მეომართა... მაღალი [უნდა იყოს: კარგი, საუკეთესო] გაწვრთნილობის, დისციპლინის... მაჩვენებელია“ („კომ.“); „მისმა თანმიმდევრულმა მშვიდობის მოყვარულმა პოლიტიკამ მოუბოვა მაღალი [ზედმეტია! ან უმჯობესია: დიდი] ავტორიტეტი“ („სახ. გან.“); „ბევრმა გადმოცემით იცის,... როგორი მაღალი [ზედმეტია] ადამიანური ბუნებით, სიკეთითა და ფაქიზი სულით არის დაჯილდოებული თამარ წულუკიძე“ („თბილ.“); „ამ საქმეს მაღალი [უნდა იყოს: დიდი] პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ“ („წინსვლა“); „ტყეებს აქვთ მაღალი სანიტარულ-ჰიგიენური ეფექტურობა [უმჯობესია: ტყეები დიდი სანიტარულ-ჰიგიენური ეფექტურობით ხასიათდება“ („საქ. ბუნ.“).

2. მაღალს ხმარობენ მსაზღვრელად ისეთ არსებით სახელებთან (უფრო ხშირად — განყენებულთან), რომლებიც ასახავენ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან განცდებსა და მისწრაფებებს. ზოგი ამ არსებით სახელთაგან თვითონ არის სტილისტიკურად შეფერილი და არც საჭიროებს მსაზღვრელს, ზოგთან კი სხვა ზედსართავი სახელი შექმნიდა უფრო ბუნებრივ შესიტყვებას. მაგ.: „ცხაკაის რაიონში მაღალი [ზედმეტია] პოლიტიკური აქტივობით ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის“ („სოფლ. ცხოვ.“); „მაღალი [ზედმეტია! ან უმჯობესია: დიდი, თავდადებული] გარჯა დამიფასდა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მაღალ [ზედმეტია! ან უმჯობესია: დიდ] ნდობას, რომელსაც თქვენ მიცხადებთ, როგორც დებუტატობის კანდიდატს, მივაკუთვნებ უწინარეს ყოვლისა ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას“ („კომ.“);

„პარტიის მიერ დასახული მაღალი [ზედმეტია] მიზნების მისაღწევად, დიდი მნიშვნელობა აქვს... შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას“ („კომ.“).

3. მაღალი, აღნიშნული სტილისტიკური დატვირთვით, ხშირად ჩაენაცელება შესიტყვებაში ზედსართავ სახელს — საპატიოს და ქმნის დაშტამპულ გამოთქმებს: მაღალი მოვალეობა, მაღალი ჭილდო, მაღალი სტუმარი, მაგ.: „ვანელ მშრომელთა ენერგიული ბრძოლა არაერთხელ იქნა შეფასებული მთავრობის მაღალი [უნდა იყოს: საპატიო] ჭილდოებით, დიპლომებით“ („განთ.“); „ხელოვნის მაღალი [ზედმეტია, ან უნდა იყოს: საპატიო] მოწოდება“ („კომ.“—სათ.); „ვისურვებთ დიდ წარმატებებს... მაღალი [უნდა იყოს: საპატიო ან საპასუხისმგებლო] მოვალეობის განხორციელებაში“ („კომ.“); „საბჭოთა ხალხი დიდი ინტერესით აღევნებდა თვალს ვიზიტის მსვლელობას, მაღალი [უნდა იყოს: საპატიო] ავსტრიელი სტუმრის შეხვედრებს, საუბრებსა და მოლაპარაკებას საბჭოთა ხელმძღვანელებთან“ („სოფლ. ცხოვრ.“). ასეთი მეტაფორული შტამების გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყოს რუსული ენის გავლენასაც.

4. დაშტამპულ გამოთქმებს ქმნის ზედსართავი სახელი მაღალი ისეთ არსებით სახელებთან, როგორცაა: მიჯნა, ზღუდე, სტარტი, გაუმართლებელია თვით ამ სიტყვების ხმარება მეტაფორული მნიშვნელობით (იხ. ზღუდე, მიჯნა, სტარტი). მაგ.: „მაღალი სტარტი შენარჩუნებულ იქნეს ხუთწლედის მეორე წლის მიჯნების აღებისათვის“ („ჭიათ. მალ.“); „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები... უფრო მაღალ მიჯნებზე გავიდნენ“ („კომ.“); „წლის დამდეგს ჩვენ მაღალი ზღუდეები დავსახეთ“ („სოფლ. ცხოვრ.“).

მაწყობს ზმნის საყრდენი ფორმა აწყობს საზიარო აწყობა რამდენიმე ზმნური ერთეულისათვის: ააწყობს (მაგ.: გიტარას, როიალს, წიგნებს ზემო თაროზე...), გააწყობს (მაგ., სუფრას), დააწყობს (თეფშებს მაგიდაზე), ჩააწყობს (ნივთებს ჩანთაში), მოაწყობს (აჯანყებას) და ა. შ. აღნიშნული მნიშვნელობებით აწყობს ზმნისაგან კონტექსტის შესაბამისად შეიძლება ეაწარმოოთ როგორც სასუბიექტო, ისე საობიექტო ქცევის ფორმები.

დასახელებული ზმნის მონაწილეობითაა მიღებული გამოთქმები: (ეს მე) მაწყობს, არ მაწყობს; (ის შენ) გაწყობს, არ გაწყობს; (ის მას) აწყობს, არ აწყობს და მისთ., რომლებიც ბოლო დროს ძალიან გავრცელდა ქართველი წიგნიერი მოსახლეობის მეტყველებაში და წერაში. ეს გამოთქმა რუსული устраняет ზმნის უმართებულო კალკია. ახალი მნიშვნელობით მოცემულ ზმნას მხოლოდ ობიექტური წყობის ზოგი ფორმა შეიძლება ჰქონდეს (არ ამბობენ, მაგალითად, ვაწყობ ან

ვაწყობვარ მე მას და აწყობ ან აწყობხარ შენ მას) ძირითადად აწყობ-
სა და იშვიათად მყოფადის ნაკეთებში (მაწყობს, მაწყობდა, მაწყობ-
დეს... მომაწყობს, მომაწყობდა, მომაწყობდეს...).

ქართული ენის ბუნებისათვის შეუფერებელია აღნიშნული ში-
ნაარსით აწყობს ზმნისა და მისგან ნაწარმოები ფორმების გამოყენება.
საამისოდ ქართულს მოებოვება უფრო ბუნებრივი ზმნები და გამოთქმე-
ბი: **მოსახერხებელია, ხელსაყრელია, ხელს აძლევს** (და შესაბამისად:
მოსახერხებელი არ არის, ხელსაყრელი არ არის, ხელს არ აძლევს).
შდრ.: „მეზღეაურებს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს“ („ლელო“);
„ის, რასაც წინა თაობა ურიგდებოდა,... ახლანდელ ახალგაზრდებს
ხელს აღარ აძლევს“ („კომ.“); „ფარდა გინდოდა? კი ბატონო, რაღაც
400 მანეთს გადაიხდიდი და ინებეთ, თავაზიანად გეტყოდნენ. ქურჭი
5 ათას მანეთად **ხელს გაძლევდათ?** კი გენაცვალე...“ („თბილ.“); „თუ
ჭორი განგებ, ბოროტი ზრახვით **არ აძლევთ ხელს**, მაშინ კეთილსინ-
დისიერად და ბოლომდე წაეკითხათ ჩვენი ადგილობრივი პრესა“
 („კომ.“)... აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს შედარებით ნათლად
გამოიკვეთა ტენდენცია პრესის ენისა — მხარი დაუჭიროს სწორედ
ამგვარ, მართებულ ვარიანტს და შეზღუდოს **მაწყობს, გაწყობს, აწყ-
ობს** ფორმები, რომლებიც ზეპირ ნეტყველებაში ჯერ კიდევ ინარჩუ-
ნებს უკანონოდ მოპოვებულ უფლებებს. ამიტომ გაუშართლებლად
უნდა მივიჩნიოთ გამოყოფილი სიტყვათშეხამებანი შემდეგ წინადადე-
ბებში: „პროდუქტების გაცვლა პოლონელ ბიჭებსაც აწყობდა [უნდა
იყოს: აძლევდა ხელს] და ჩქარა ჩვენი ვაგონი... „ლემონეადათი“ აივ-
სო“ (მ. კვეს.); „ხალხის მასებს ბრძოლაში ჰყავდა ხელმძღვანელი —
ბურჟუაზია, რომელსაც **არ აწყობდა** [უნდა იყოს: ხელს არ აძლევდა]
მელიეს იდეები“ („ისგ სკოლაში“); „ბევრი კლიენტიც გაიჩინა. **აწყობს**
მას [უნდა იყოს: მოსახერხებელია, ან: ხელსაყრელია მისთვის] „ში-
ნაურებთან“ ურთიერთობა“ („თბილ.“); „მუშაობის ეს მანკიერი სტი-
ლი პირველ რიგში თვით **მესაათებს აწყობთ** [უნდა იყოს: მესაათე-
ბისთვისაა ხელსაყრელი]“ („თბილ.“)...

მახარობელი სასიხარულო ამბის მომტანს, სასიხარულო ამბის
მაუწყებელს ნიშნავს. „**მახარობელი** — კეთილ მოამბე“, — განმარ-
ტავს საბა. ამ მნიშვნელობითაა ეს სიტყვა გამოყენებული ქართველ
მწერალთა ენაშიც: „ნეტაეი იმ **მახარობელს**, შენი შობა ეინც ახარა“
(გ. ლეონ.); „მე ვარ **მახარობელი**, შენი **გამხარებელი**“ (ა. ცაგ.); „გა-
მარჯვება შენ,... პირველო დილაე,... **ბედნიერების მახარობელი**“ („ინ-
დუსტრ. ქუთ.“). ამგვარი მნიშვნელობის გამო ეს სახელი მსაზღვრე-
ლად ადვილად იგუეებს ზედსართავ სახელს — **კარგს** და ვიღებთ ერთ-
გვარ ტაქტოლოგიურ შეხამებას: „მადლობა ღმერთს! სწორედ **კაი მა-**

ზარობელი ხარ“ (აკაკი); „ნახვა ჰსურს, სული მიუღის, ამბობს — „მაჩვენეთ ჩქარაო! ვარ კარგი მახარობელი და არა მეტიჩარაო“ (აკაკი); „ოო, ჩემო ლომკაცა, აბა, ზვალ ქორწილია, არა? რა კარგი მახარობელი ხარ!“ (პ. კაკაბ.).

აღნიშნული სახელის მნიშვნელობა უკვე კარგა ხანია გაფართოვდა და იგი ზოგჯერ ზოგადად ამბის მომტანს, მაცნეს ნიშნავს, მაგრამ იმის გამო, რომ ამ სიტყვაში ახლაც მკაფიოდ იგრძნობა ძირისეული აზრობრივი ნიუანსი, მის მეწყვილედ შესიტყვებაში არ გამოდგება ისეთი ზედსართავეები, როგორცაა ცუდი, საშინელი და მისთ. ამიტომ სწორი ქართულის თვალსაზრისით უხერხულ შესიტყვებებს შეიცავს შემდეგი წინადადებები: „ვაითუ ცუდი მახარობელი გამოდგესო“ (ს. დემურხ.); „ეს ამბავი ...გააწამებს საცოდავს. აჰ, ეს რა საშინელი მახარობელი ხარ?!“ (ი. ჩად.); „სოფელში ამ უშნო ღამის ფრინველს უბედურების მახარობელს ეძახიან“ (ვ. ჩეკურ.). სასურველი აზრის გადმოსაცემად უმეტეს შემთხვევაში გამოდგება მარტივი ფრაზა: არა ხარ კარგი მახარობელი. ამგვარი შენაცვლებაც არაერთხელ დასტურდება ქართველ მწერალთა ენაში: „ტარიელმა თავშივე იგრძნო, რომ ეს კაცი კარგის მახარობელი არ იყო“ (ლ. ქიჩ.); „ვერ გაზღავარ კი მახარობელი, დიდებულო მეფეო“ (რ. ჯაფ.) და სხვ. ზოგ შემთხვევაში კი აჯობებდა თვით აღნიშნული სიტყვის შეცვლა სხვა, უფრო მარჯვე სიტყვით, მაგალითად, ასე: ცუდი ამბის მომტანი, უბედურებას მაცნე და მისთ. შეზღუდვა, რასაკვირველია, ეხება მხოლოდ სადა და ძალდაუტანებელ მეტყველებას, თორემ პოეზიის ენაში ამგვარი შეხამებები დასაშვებად მიიჩნევა და ე. წ. კონტრასტულ ექსპრესივებად ფასდება. შდრ.: „აბობოქრებულ ორთქლშავალის ქვეშ გაისრისე, არა-რაობის საშინელი მახარობელი“ (კ. ჭიჭ.).

მდგომარეობაში. სიტყვა მდგომარეობას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის ერთი უფრო ზოგადია: ამა თუ იმ სახით ყოფნა; ვითარება.

თანამედროვე კრიმინალისტურ პრაქტიკაში და მის ამსახველ ბეჭდურ ინფორმაციებში ძალზე გავრცელებულია სიტყვათშეხამება, რომელშიც მონაწილეობს სიტყვა მდგომარეობა -ში თანდებულის დართვით და მას მსაზღვრელად ახლავს მიმღეობა ნასვამი ან მისი რომელიმე ამ სინონიმთაგანი: მთვრალი, არაფხიზელი. ეს უკანასკნელი ხელოვნურად ნაწარმოები სიტყვაა — კალკია რუსული სიტყვისა нетрезвый. ამრიგად, დასტურდება ამგვარი შეხამებები: მთვრალ მდგომარეობაში, ნასვამ მდგომარეობაში, არაფხიზელ მდგომარეობაში.

აღნიშნული შეხამებები ზმნას განსაზღვრავენ და წინადადებაში ერთი წევრის — ვითარების გარემოების როლს ასრულებენ. კონსტრუქცია, რომელიც შედგება მსაზღვრელისა და სიტყვა-ფორმისაგან **მდგომარეობაში**, სათანადო რუსული კონსტრუქციის კალკია (შღრ. в пьяном состоянии, в нетрезвом состоянии).

ეს კონსტრუქცია რუსულშიც ხელოვნურია, მაგრამ იგი რუსულს გარკვეულ სიძნელეთა დასაძლევად სჭირდება. ქართული კი იდენტური აზრის ბუნებრივად გადმოსაცემად ამგვარ კონსტრუქციებს არ სიჭიროებს. იგი საამისოდ იყენებს ე. წ. პრედიატულ განსაზღვრებას, რომელიც ამ შემთხვევაში მიმღებობით გადმოიცემა და ბრუნვაში იმართვის სათანადო ზმნის მიერ (მაგ. იგი **ნასვამი** მივიდა შინ; მას **ნასვამს** მოუხდა შინ მისვლა). ამავე დანიშნულებით ქართულში გამოიყენება **-ში** თანდებულდართული აბსტრაქტული სახელიც — **სიმთვრალეში** (მაგ.: მან **სიმთვრალეში** კაცი მოკლა). ამიტომ აღნიშნული ხელოვნური კონსტრუქციები შესაბამისად უნდა გამარტივდეს ბუნებრივი ქართულისათვის დამახასიათებელი საშუალებების გამოყენებით. მაგ.: „გასული წლის 18 თებერვალს მატარებელში „თელავი — თბილისი“ **მთვრალ მდგომარეობაში** უბილეთოდ ავიდა [უნდა იყოს: მთვრალი ავიდა უბილეთოდ] ქ. გურჯაანში მცხოვრები...“ („ლენ. გზით.“); „ეს უბირველეს ყოვლისა ითქმის **მთვრალ მდგომარეობაში** მყოფი [უნდა იყოს: მთვრალი] მგზავრების მიერ მატარებლის სამუხრუჭო ონკანის გახსნაში [სწორია: გახსნის შესახებ, ან: გახსნაზე] და სხვ.“ („ლენ. გზით.“); „მიმდინარე წლის 13 ივნისს **მთვრალ მდგომარეობაში** მყოფმა გურჯაანის საკონსერვო ქარხნის მუშამ... [უნდა იყოს: მუშამ სიმთვრალეში...] სამუხრუჭო ონკანის გამოწვეით რამდენჯერმე გააჩერა მატარებელი“ („ლენ. გზით.“); „1973 წლის იანვარში **მთვრალ მდგომარეობაში** ყოფნისას [უნდა იყოს: სიმთვრალეში] უტაქტო საქციელის ჩადენისათვის საზოგადოებრივი ადგილიდან მილიციის განყოფილებაში წარმოდგენილი იყვნენ...“ („ლენ. დროშა“); „[მან] **მთვრალ მდგომარეობაში** მყოფმა [უნდა იყოს: სიმთვრალეში] ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა“ („ჭიათ. მალ.“); „ზაქარიას არ ახსოვს ისეთი სამუშაო დღე, ან საათი, რომ **ნასვამ მდგომარეობაში** [უნდა იყოს: ნასვამი] ყოფილიყოს“ („ალაზნ. ვანთ.“); „საჭეს მართავს **ნასვამ მდგომარეობაში** [უნდა იყოს: მართავს ნასვამი], რამაც შეიძლება გამოიწვიოს ავტოსაგზაო შემთხვევა“ („ჭიათ. მალ.“); „...მძიმე დანაშაული ჩადენილია **არაფხიზელ მდგომარეობაში** მყოფი პირების მიერ [უნდა იყოს: ჩადენილია სიმთვრალეში]“ („ჭიათ. მალ.“).

მღებარეობს ზმნა ნიშნავს: იმყოფება, ძევს, არის, უჭირავს ადგილი ღებამიწის ზედაპირზე ან სივრცეში. ეს ზმნა უძრავი გეოგრა-

ფიული ობიექტების აღმნიშვნელ სახელებთან (ქალაქი, სოფელი, მთა...) იხმარება. მაგ.: „ქალაქი ბათუმი მდებარეობს შავი ზღვის პირას“; „თრიალეთის მთის სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯავახეთი მდებარეობენ“ (ი. გოგებ.); „უძო და მთაწმინდა ერთ ხაზზე მდებარეობენ“ (დ. დონდ.).

ის, რაც მიედინება, მოძრაობს, მდინარებს, დის, ვერ შეიფერებს სტატიკურობის გამომხატველ მდებარეობს ზმნას. ამიტომ შეუძლებელია ითქვას: „მდინარე მტკვარი მდებარეობს თბილისში“. აჯობებს: გადის, გაივლის, მიედინება... კიდევ უფრო უფარგისია სიტყვათშეხამება: **სასმელი წყალი მდებარეობს**. მაგ.: „**სასმელი წყალი** ჩვენი უბნიდან 350 მეტრზე **მდებარეობს** ტყეში“ („კომ. დროში“). უმჯობესია წინადადება სხვაგვარად ავაგოთ, რომ თავიდან ავიცილოთ შესიტყვება **წყალი (წყარო) მდებარეობს**. მაგალითად, ასე: სასმელი წყალი (წყარო) ჩვენი უბნიდან 350 მეტრითაა დაშორებული, ან: წყარო... 350 მეტრზეა ჩვენი უბნიდან. ზოგჯერ კი შეიძლება გამოდგეს: **ამოდის, ამოჩქევს, გამოდის...** ზმნებიც (განსაკუთრებით წყაროს მიმართ).

მებრძოლი. ქართულში ფორმით და ფუნქციით მკვეთრადაა გამოიჩნული მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობები. სახელდობრ, ვინც ან რაც მოქმედებს, არის **მკეთებელი, მშენებელი, დამყანავი, გადამწყვეტი...** ხოლო ვინც ან რაც განიცდის მოქმედებას, არის **საკეთებელი, საშენებელი, დასაყანავი, გადასაწყვეტი...** ამგვარივე შეფარდებაა **იბრძვის** ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობებს შორისაც: **მებრძოლი — საბრძოლო**. მოქმედებითი გვარის მიმღეობები აღნიშნავენ აქტიურს, მოქმედს; ხოლო ვნებითი გვარის მიმღეობები კი — პასიურს, არამოქმედს. ამიტომ, ჩვეულებრივ, **მკეთებელ, მშენებელ, მებრძოლ...** ტიპის სახელები მოქმედი საგნის აღმნიშვნელი სახელის, უმეტესად ადამიანის, მსაზღვრელად გვევლინება, ხოლო **საკეთებელ, საშენებელ, საბრძოლო...** ტიპისა კი — არამოქმედის, ნიეთის მსაზღვრელად. შეადარე, მაგ.: „ბინდმა გაყარა **მებრძოლნი მტერნი**“ (წ. ბარათ.); და: „ან ნაწარმოებებში მკაფიოდ გამოვლინდა... რევოლუციური მუშათა კლასისა **საბრძოლო განწყობილება**“ („ქართ. ლიტ.“).

აღნიშნული ფუნქციური დამირისპირება **მებრძოლსა და საბრძოლოს** შორის ყოველთვის არ არის გათვალისწინებული, რის შედეგადაც ვიღებთ არაბუნებრივ სიტყვათშეხამებებს. მაგ.: „ბარათაშვილი... **მებრძოლი** [უნდა იყოს: საბრძოლო] **განწყობილებით** მიმართავს თავის მერანს“ („ქართ. ლიტ.“); „შეიჭრა ეს **მებრძოლი რევოლუციური** [უნდა იყოს: საბრძოლო ან: რევოლუციური ბრძოლის] შეგნება ჯარისკაცთა რიგებში“ („ქართ. ლიტ.“); „რევოლუციის აღმავლობამ მე-

ბრძოლი [უნდა იყოს: საბრძოლო]... განწყობილება განამტკიცა ქართულ ლიტერატურაში“ („ქართ. ლიტ.“).

მეკვლე სიტყვასთან მსახლრველის ტავტოლოგიურად გამოყენების შესახებ იხ. პირველი.

მეოხებით, თანდებულად გამოყენებული ზმნისართი მეოხებით მიღებულია ძველი ქართული სახელისაგან **მეოხება**, რომელიც აღნიშნავს: დახმარებას, შემწეობას, წყალობას, აქედან **მეოხებით** ნიშნავს: მეშვეობით, დახმარებით, წყალობით. ოღონდ, მსგავსად ზმნისართისა **წყალობით** (იხ.), გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედების რაიმე დადებითი შედეგის შესახებაა ლაპარაკი. ამაზე **შემწეობა, დახმარება, წყალობა** სიტყვათა სემანტიკაც მიგვანიშნებს. ბუნებრივია, მაგალითად: „მისი მეოხებით დადგა ფეხზე და გამშვენებდა ქართული პროზა და ლექსი“ (ს. შანშ.); „შემოსავალი დიდია მეურნეობის სწორი სოციალისტური გაძლოლის მეოხებით“ („კომ.“); „საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობისა და დახმარების მეოხებით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა ქართველმა ხალხმა“ („კომ.“)...

მაგრამ ბოლო დროს ენაში მომრავლდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამ სიტყვის სემანტიკას არ ეწვევა ანგარიში და წინადადებაში იგი გამოყენებულია იქ, სადაც მოქმედების უარყოფითი შედეგია გადმოცემული და მის ნაცვლად ბუნებრივი იყო ეხმარათ: **გამო, გამოისობით, მიზეზით, შედეგად, შემდეგ** და მისთ. მაგალითად: „აქამოდე უვალო ოჯახს ამ წირვებისა და კურთხევის მეოხებით [უნდა იყოს: შემდეგ, შედეგად] ათ თუმანზე მეტი ვალი დაგვეღო“ (ნ. ლომ.); „წარმოულდა დათუას აღი, მისი გამოჩენა ჩვენს სახლში და ის მისი უნარები, რომელთა მეოხებით [უნდა იყოს: გამო, მიზეზით] დაეცა ჩვენი საესე ოჯახი“ (ნ. ლომ.); „ახლა, როცა მისი მეოხებით [უნდა იყოს: მისი მიზეზით, მის გამო] განზრახვა ლამის ჩამეშალოს, ...რა უფლება მაქვს საკუთარ გრძობებს ავყვე“ (რ. გვეტ.); „ჩვენი უვიციობისა და სიბრყევის მეოხებით [უნდა იყოს: გამო] მამა-პაპათაგან სისხლით მორწყულსა და გამოხიერებულ მამულს გადამთიელნი გვეცილებიან“ (ა. ჭუმბ.); „გადიქრიათ ოდესმე იმ უბედურ სახლზე, რომელიც დაობლდა თქვენი მეოხებით [უნდა იყოს: თქვენი მიზეზით, თქვენს გამო]“ (ქ. ბაქრ. თარგმ.); „1913 წელს უნდა მოწყობილიყო ვ. ფაფაზიანის იუბილე, მაგრამ ფაფაზიანის მოწინააღმდეგეთა მეოხებით [უნდა იყოს: მიზეზით, გამო] ეს იუბილე ჩაიშალა“ („სახ. გან.“); „[მან] გააკრიტიკა... სამმართველოს ხელმძღვანელები, რომელთა მეოხებითაც [უნდა იყოს: მიზეზით, გამო] ქიანურდება დაწყებული მშენებლობა“ („განთ.“, ვანი); „ცულად იმუშავეს... საბჭოებმა ამ ორგანიზაციათა

ყოფილი ხელმძღვანელების უღარდებლობის მეოხებით [უნდა იყოს: გამო, მიზეზით]“ („განთ.“, ვანი);...

მერძეული; მერძეულობა. ზედსართავი სახელი მერძეული ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან რძე და იხმარება რძის მომცემი, მეწველი ცხოველის მიმართ. გამოიყენება გამოთქმებში: **მერძეული ძროხა; მერძეული ფურ-კამეჩი; მერძეული პირუტყვი**... მაგ.: „კომბინირებული საკვები ეძლევა მხოლოდ მერძეულ პირუტყვს“ („გამარჯ.“); „პატარაძეულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერძეული პირუტყვის ფერმაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა № 2 ბრიგადა“ („იერ. განთ.“).

იხმარება ამ სიტყვისაგან ნაწარმოები **მერძეულობაც** — მერძეულის თვისება, რძის მოცემის უნარი. მაგ.: „დღემელთა ამოცანაა გააძლიერონ მუშაობა ძროხების ჯიშანობის გაუმჯობესებისათვის, მიღწიონ ყველა ფურის ამაღლებულ მერძეულობას“ („კომ.“); „18-20 დღემდე ბაჭიების ზრდა-განვითარება დამოკიდებულია დედის მერძეულობაზე“ („სოფლ. ცხოვრ.“); „დედის მერძეულობა დგინდება ბაჭიების წონამატების მიხედვით“ („სოფლ. ცხოვრ.“); „დედალი კურდღლის მერძეულობა შეიძლება განისაზღვროს მოზარდის გარეგნობით“ („სოფლ. ცხოვრ.“); „თითოეულ ნაყარში შთამომავლობის ნაკლებობას რომ ვაკვირდებით, შეიძლება განვსაზღვროთ დედის მერძეულობა და დავადგინოთ, თუ რამდენი ბაჭის გამოკვება შეუძლია მას“ („სოფლ. ცხოვრ.“).

რაკი მერძეული რძის მომცემს, მეწველს ნიშნავს, მერძეული შეიძლება იყოს მხოლოდ პირუტყვი, მაგრამ არ შეიძლება იყოს ფერმა, ამდენად უმართებულოა ბოლო ხანებში შექმნილი გამონათქვამი **მერძეული ფერმა**, რომელიც ხშირად გვხვდება ჩვენს პრესაში. მაგ.: „ბახათის მახლობლად აშენდა სასუქი და სანაწენო, ხოლო ნიკორწმინდაში მერძეული ფერმები“ („ლიტ. საქ.“); „გალამუშავდეს რეკომენდაციები მცირე სულადობის მერძეული ფერმის მექანიზაციის... შესახებ“ („კომ.“). კიდევ უფრო უვარგისია გამოთქმა: **მერძეული მიმართულება** ან **მერძეული მიმართულების კოლმეურნეობა**: „გასულწელს მერძეული მიმართულების კოლმეურნეობათა ფერმებისათვის უნდა გადაგვეცა 15 სული დახბოიანებული ძროხა“ („განთ.“).

როგორც ამ ილუსტრაციებიდან ჩანს, გამოთქმას მერძეული ფერმა რძის დამამზადებელი ფერმის აღსანიშნავად ხმარობენ. მსგავსი შინაარსის გადმოსაცემად, ჩვეულებრივ, ნათესაობითში დასმული მსაზღვრელები გამოიყენება ხოლმე: ჩაის ფაბრიკა, ლიმონათის ქარხანა, ფეხსაცმლის (ავეჯის...) ფაბრიკა... იგულისხმება ჩაის, ლიმონათის, ფეხსაცმლის დამამზადებელი, გადამამუშავებელი, მწარმოებელი ფაბრიკა.

ქარხანა... ზოგჯერ სიტყვა „დამამზადებელი“ იხმარება კიდევ ასეთ გამოთქმებში: ხორცის დამამზადებელი კომბინატი, ავეჯის დამამზადებელი ფაბრიკა...

მეორე მხრივ, გვაქვს ასეთი შესიტყვებებიც: მევენახეობის (მეჩაიეობის, მეციტრუსეობის...) მეურნეობა... სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში მიღებული ტერმინებია: მეღორეობის ფერმა, მეცხენეობის ფერმა, მეცხოველეობის ფერმა... და ამით გვერდით სარძეო-საქონლო ფერმა (молочно-товарная ферма).

ყოველივე ზემოთქმულის გამო მერძეული ფერმის ნაცვლად უმჯობესია იხმარებოდეს რძის ფერმა, მერძევეობის ფერმა, სარძეო-საქონლო ფერმა, რაც ნიშნავს რძის დამამზადებელ, რძის მაწარმოებელ ფერმას. მხატვრულ ლიტერატურაში ნახმარია კიდევ ეს შესიტყვება: „ხან მერძევეობის ფერმაში მუშაობდა, ხან საბავშვო ბავაებარა“ (კ. ლორთქ.).

მისმეური სვე ფუძისაგან მე- — ურ აფიქსებით ნაწარმოები სახელია და ნიშნავს სვის დამწყებს, ხოლო თვით სვე არის მიწის ნაკვეთი ყანის, ვენახის მთელ სიგრძეზე, რომელსაც მიწის მუშა ერთ ჯერზე ამუშავენ (ხვნის, თონის, ბარვის, მკის, თიბვის... დროს). სვის დამწყები — მესვეური ის მეთაური მუშაა, რომელიც იწყებს სვის გატანას და რომელსაც მისდევენ დანარჩენები.

თანამედროვე სიტყვათხმარებაში მესვეური მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება წინამძღოლის, მეთაურის აღსანიშნავად. მაგრამ, როგორც ყოველი სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისას, მესვეურის შემთხვევაშიც უკვალოდ არ უნდა დაიკარგოს, არ უნდა მიიჩქმლოს ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარების საფუძველი. მესვეური შეიძლება იყოს არა ნებისმიერი ხელმძღვანელი ანდა წინამძღოლი, არამედ ის პირი, რომელმაც პირველმა მოიფიქრა ანდა დაიწყო ესა თუ ის ღონისძიება, რომელმაც წამოიწყო ახალი, მნიშვნელოვანი საქმე და მეთაურობს მას, ამ თვალსაზრისით მესვეური ძალიან უახლოვდება თაოსან-სიტყვის მნიშვნელობას და მის სინონიმად ითვლება (მდრ. თაოსანი — საქმის წამომწყები, ინიციატორი, მოთავე).

მესვეური ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის კონკრეტული საქმიანობის აღმნიშვნელ სიტყვებთან: საქმე, ღონისძიება, შეკრება, მშენებლობა. გრამატიკულად ეს სიტყვები ხშირად საწყისებია, რომლებიც ნათესაობით ბრუნვაში შეეწყობიან თავიანთ საზღვრულს—მესვეურს — და მიუთითებენ იმ კონკრეტულ ინიციატივაზე, რომელიც მესვეურიით განსაზღვრულმა პირმა ითავა.

შეინიშნება უარყოფითი ელფერის მქონე კონტექსტებში **მესვეურის** გამოყენება ბატონის (ბატონ-პატრონის), მმართველი წრეების... მნიშვნელობით: იმპერიალისტური ბანაკის მესვეურები, კაპიტალისტური სამყაროს მესვეურები და მისთ.

უკანასკნელ ხანს შეინიშნება **მესვეურისა** და მისი სინონიმების — **თაოსნის**, **ინიციატორის** მნიშვნელობათა გარკვეული დიფერენციაცია. კერძოდ, რაიმე საქმის წამომწყებისა და მისი ხელმძღვანელის აღსანიშნავად გააქტიურდა სიტყვა **თაოსანი**, ხოლო, რაც შეეხება **მესვეურს**, იგი იძენს სრულიად ახალ შინაარსს, — იხმარება ყოველგვარი ხელმძღვანელის, ანდა ოფიციალური მზრუნველის აღსანიშნავად. ხშირ შემთხვევაში **მესვეურს** ახლავს ირონიული, უფრო კი პოლემიკური ელფერი: „ამგვარი გაბედულებისათვის ნუ შემოგვწყობიან **გაერთიანების მესვეურები** [უნდა იყოს: ხელმძღვანელები], ჩვენი სიტყვები ზერელედ ნუ მოეჩვენებათ, ისინი საქმით არის გამაგრებული“ („თბილ.“); „ასე გვესმის ჩვენ საქართველოს სახელმწიფოებრივი გულშემატკივრობა და არა ისე, როგორც წერილის დასაწყისში დაიხატა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის **განყოფილების მესვეურთა** [უნდა იყოს: ხელმძღვანელთა] პასუხში რედაქციისადმი“ („თბილ.“); „ამ და ზოგიერთ სხვა ნაკლსა და ხარვეზს, რომლებიც რეიდის მონაწილეებმა ერთი თვალის გადავლებით შეამჩნიეს, თითქმის ყოველდღიურად უტყერიან **ქალაქის მესვეურები** [უნდა იყოს: თავკაცები]“ („კომ.“); „სად არიან **სასოფლო საბჭოს მესვეურები** [უნდა იყოს: ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი პირნი], რას აკეთებენ ადგილობრივი და რაიონული საბჭოების დეპუტატები?“ („კომ.“); „სწავლობს თუ არა თქვენთან ჩვენი გამოგზავნილი ახალგაზრდაო? — ჰკითხეს **კომბინატის მესვეურთ** [უნდა იყოს: ხელმძღვანელებს]“ („კომ.“); „დავიჯეროთ, მთელი მეხუთედი საუკუნე ისე გავიდა, რომ იმ რაიონის **სატელეფონო კვანძის მესვეურები** [უნდა იყოს: ხელმძღვანელები] მტკიცედ იცავდნენ რიგს, თანამიმდევრობას?“ („თბილ.“); „ალბათ, ახლა მაინც იმსჯელებენ მკაცრად მომხდარ შემთხვევებზე თამბაქოს **ფაბრიკის მესვეურები** [უნდა იყოს: ხელმძღვანელები] და საჭირო დასკვნებსაც გამოიტანენ“ („თბილ.“); „საინტერესოა, რატომ ამჯობინებენ მეტწილად დუმილს ჩვენი სპორტული საზოგადოებებისა და **ორგანიზაციების მესვეურ-წარმომადგენლები** [ზედმეტია მესვეური], ფართოდ არ იყენებენ საჯაროობის პრაქტიკას...“ („ლულო“); „ეჭვგარეშეა, მკაცრად მოსთხოვენ პასუხს ზემოაღნიშნულ **ორგანიზაციათა მესვეურთ** [უნდა იყოს: ხელმძღვანელებს], რომლებმაც წინასწარი ვაფრთხილების მიუხედავად ვერ უზრუნველყვეს თანამშრომელთა სრულად წარმოდგენა“ („თბილ.“).

უხერხული ჩანს **მესვეურის** გამოყენება ზოგადად მზრუნველის, ქომავლის, გულშემატკივრის მნიშვნელობით. ამ შემთხვევათა უმრავლესობაში **მესვეურს** განსაზღვრავს არა ადამიანთა ერთობლიობის, კოლექტივის გამომხატველი რომელიმე სიტყვა (გაერთიანება, განყოფილება, კომბინატი...), არამედ ცალკეულ პირთა საქმიანობის სფეროს ან თბიქტის ამსახველი სიტყვები. მაგალითად: „იქნებ მეორე დღეს ამ კაცს ტყის მესვეურთათვის ქონში მადლობის ბარათიც კი დაერჩინა“ („ახ. კომ.“); „მინდა თქვენს **სპორტის მესვეურებს** ვთხოვო, რომელიმე ახალგაზრდულ გუნდში ჩარიცხონ“ („ლელი“); „სოსუმის **ტანვარჯიშის მესვეურებმა** ეს ფაქტი იმით ახსნეს, რომ ეაუთა მწვრთნელი არა ჰყავთ?“ („სახ. ვან.“); „უზარმაზარი მასალა... დიდი რუდუნებით... შეკრიბეს და ნოტებზე გადაიღეს ქართული მუსიკის **მესვეურებმა**“ („ლიტ. საქ.“). „ახალი სეზონისათვის ემზადებინან ფეხბურთელები, მწვრთნელები, **საფეხბურთო არენათა მესვეურები**, თაყვანისმცემლები, სპეციალისტები...“ („ახ. კომ.“); „ახლა, დიდი მართონის დაწყების წინ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო შევხვედროდით დღევანდელ **მეტოქეთა მესვეურებს**, კაპიტნებსა თუ ფეხბურთელებს, რომ მკითხველებსათვის გაგვეცნო თქვენი აზრები, გეგმები, იმედები“ („თბილ.“); „...არც თუ ისე დიდი ხანი გავიდა და პოპულარობით გულაურმა ახალგაზრდებსა და სამთო-სათხილამურო **სპორტის მესვეურთა** შორის პირველობა დაისაკუთრა“ („ახ. კომ.“); „იგი იმასაც ახერხებს, რომ თავისი მიზნების სასარგებლოდ წარმართოს ამ **ოჯახის მესვეურთა** მომავალი ცხოვრებაც“ („ქართ. ლიტ.“ IX). დასახელებულ შემთხვევებში აზრის გასამართავად არაა საკმარისი სიტყვა **მესვეურის** შეცვლა მისი სინონიმებით (**ხელმძღვანელი, თავკაცი** და მისთ.); მთლიანად სხვანაირადაა ასაგები წინადადება.

გაუმართლებელია აგრეთვე **მესვეურის** ხმარება სახელმწიფო მმართველი წრეების მნიშვნელობით და მისი განსაზღვრა ეროვნული ნიშნის მიხედვით. ამ წინადადებებში **მესვეურს** უარყოფითი ელფერიც ახლავს: „**რუსეთის მესვეურებს** პრუსიისა და ინგლისის ბოღმა აღრჩობდათ, ხოლო „სამხრეთის საქმეებისათვის“ ისევ არ ეცალათ“ („კომ.“); „ერთიანი საქართველოს ნანგრევებზე „საქართველოების“ არსებობა თვითონ მეტყველებს მაშინდელ **ქართველ მესვეურთა** — შეფე-მთავართა სიმცირე-სიპატარავეზე“ („კომ.“); „ეს კარგად ესმით ჩვენი **ერის** დღევანდელ **მესვეურებსაც**“ (ტელიგადა).

აღნიშნულ შესიტყვეებებში **მესვეურის** გამოყენება მაშინ იქნებოდა მართებული, თუ ამ სიტყვას იხმარდნენ არა უბრალოდ **ხელმძღვა-**

ნელის, მეთაურის მნიშვნელობით, არამედ თვით საქმიანობის თაოსნობის აღსანიშნავად. ამგვარად, სპორტის მესვეური უნდა ნიშნავდეს სპორტის, სპორტული მოძრაობის წამომწყებს; რკინიგზის მესვეური — რკინიგზის დამაარსებელს; ქალაქის მესვეური — ქალაქის დამაარსებელს; გაერთიანების მესვეური — ინიციატორსა და ხელმძღვანელს გაერთიანების დაარსებისა და ა. შ.

მავშეობით ზმნისართს, მსგავსად სხვა სინთონური ზმნისართებისა (საშუალებით, გამოყენებით, გზით), რიგ შემთხვევაში შეენაცვლება ვიწრო მნიშვნელობით ხმარებული სინთონი — **დახმარებით** (იხ.).

მეჩხერიანი; მეჩხერიანობა. ზედსართავი სახელი **მეჩხერი** იგივეა, რაც შორიშორს განლაგებული, არახშირი, თხელი, იშვიათი და იხმარება ისეთ სიტყვებთან, რომლებიც რაიმე სიმრავლეს აღნიშნავენ (ტყე, ვენახი, კბილები...). მაგ.: **მეჩხერი ვენახი, მეჩხერი კბილები, მეჩხერი წვერი, მეჩხერი ტყე**: „ასე ფიქრობდა მათე, როცა მეჩხერ ხეივანში მიაბიჯებდა“ (გ. სხირტლ.).

ამ ზედსართავი სახელისაგან ახალი ზედსართავის — **მეჩხერიანის** წარმოება ისევე ზედმეტი და უმართებულოა, როგორც, მაგ., **მლაშე-საგან მლაშიან-ის** წარმოება, ან **ხშირ-ისაგან ხშირიან-ისა** და სხვ. უხმარიათ კი პრესაში. მაგ.: „სასიხარულოა, რომ გუშინ **მეჩხერიან** ტრიბუნებს ვერ ვხედავდით, ესეც ხომ მატჩისადმი უჩვეულო ინტერესის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორი იყო“ (კომ.“).

პრესის ენაშივე გვხვდება და ფეხს იკიდებს **მეჩხერიან-ისაგან** ახლად ნაწარმოები სიტყვა **მეჩხერიანობა** — მეჩხრად ყოფნა. მაგ.: „ვაზის გადაწვევით ვენახებში მთლიანად მოისპობა **მეჩხერიანობა**“ („კომ.“); „განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოთ — **მეჩხერიანობის** ლიკვიდაციას“ („კომ.“); „ძველ ვენახებს ახალშენიც ემატება. **მეჩხერიანობასაც** თანდათან ვამცირებთ“ („ლიტ. საქ.“); „კარგი ნერვით ბალ-ვენახების გაშენება ზვრებისა და ხეხილის ბაღების **მეჩხერიანობის** თავიდან აცილების უპირველესი საშუალებაა“ („სოფლ. ცხოვრ.“).

არსებობს უფრო ბუნებრივი და გავრცელებული ქართული სიტყვა **სიმეჩხრე**, რომელიც ისევეა ნაწარმოები, როგორც, მაგალითად: **მარჯვესაგან — სიმარჯვე, მხდალისაგან — სიმხდალე, მადლისაგან — სიმადლე, მდიდრისაგან — სიმდიდრე, მთვრალისაგან — სიმთვრალე, მდგარისაგან — სიმდგარე, გრილისაგან — სიგრილე** და სხვ. **სიმეჩხრე** ტერმინადაა მიღებული სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში (იხ. „სოფლ. მეურნ. ტერმინ.“).

იგივე **სიმეჩხრე** გავრცელებულია ცოცხალ სასაუბრო ენაში. ამიტომაც ხელოვნური სიტყვის შექმნა (**მეჩხერიანობა**) ენას აღარ სჭირდება. ამ უკანასკნელ ხანებში კი **მეჩხერიანობამ** ლამის განდევნოს (პრესის ენაში მაინც) ბუნებრივი ქართული სიტყვა. სწორია და უნდა იხმარებოდეს: **მეჩხერი**, **სიმეჩხრე** (და არა **მეჩხერიანი**, **მეჩხერიანობა**). ასევე სწორია **მეჩხერ-ისაგან** ნაწარმოები: **გამეჩხრება**, **გამეჩხრდება**, **გამეჩხრებული**.

მეცადინეობა სახელია **მეცადინეობს** ზნნის მოქმედებისა. მისი ძირითადი მნიშვნელობაა **ხწავლა**: სკოლებში **მეცადინეობა იწყება** პირველ სექტემბერს. მხატვრული ლიტერატურის ენაში დადასტურებულია ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობებიც: რისამე გულმოდგინედ კეთება, გულმოდგინება, მონდომება, ცდა: „თქვენი დახმარებით და ჩვენი **მეცადინეობით** (=მონდომებით) იქნება ეს აზრი საქმედ ვაქციოთ“ (ილია); „პლატონიც და მელანოც... იმის **მეცადინეობაში** (=ცდაში) იყვნენ, რომ მოხუცებულის გული მოეგოთ“ (დ. კლდ.)... ამავე ძირისგან ნაწარმოები ვნებიანი გვარის მიმღეობა **გამეცადინებული** სასაუბრო მეტყველებასა და კილოებში (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში) დღესაც რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: ვინც გულმოდგინედ ცდილობს რასმე, გულმოდგინე, გაბეჯითებული, ყურადღებად ქცეული და მისთ.

მაგრამ აღნიშნული საწყისის სემანტიკა სალიტერატურო ქართულში დღეს შესამჩნევად დავიწროვდა, დაკონკრეტდა (სწავლასთან, სწავლის პროცესთან დაფიქსირდა), ხოლო ყველა სხვა მნიშვნელობით მისი მოხმარება ფრაზის გაბუნდოვანების საშიშროებას ქმნის და გაუმართლებელია. ამიტომ გასწორებას საჭიროებს შემდეგი წინადადებები: „საბჭოთა აღამიანებს ბევრი რამ აქვთ საამაყო; ერთი მხრივ პარტიის **მეცადინეობა** [უნდა იყოს: ზრუნვა] მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად და ამავე დროს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის... თვალსაჩინო მაგალითები“ („კომ.“); „პარტიის **მეცადინეობა** მთლიანად ხმარდებოდა იმას [უნდა იყოს: მთელი ყურადღება ექცეოდა იმას, ან: მთელი ყურადღება მიმართული იყო იქითკენ], რომ უკეთ, უფრო სრულად გამოგვეყენებინა ჩვენი წყობილების უპირატესობანი...“ („კომ.“); „ტერიტორიული უპირატესობა ერთია, მისი გამოყენება კი უფრო მეტ ოსტატობას მოითხოვს და ალბათ აქეთკენ წარიმართება „დინამოს“ ხელმძღვანელთა **მეცადინეობა** [უნდა იყოს: ყურადღება], მით უმეტეს, რომ უფროსი მწვრთნელი... სწორედ ასეთი ოსტატი ვახლავთ“ („ახ. კომ.“); „უკვე რამდენიმე ხანია ვერა და ვერ მოხერხდა იმ ტრადიციების დაბრუნება, პოზიციების აღდგენა, რომლებიც საბჭოთა ფეხბურთს ჰქონდა. ამას ერთი და ორი მიზეზი არა აქვს. ძირი-

თადად კი ისევ ჩვენ, ფეხბურთის მსახურნი ეცოდავთ. საჭიროა მეტი **მეცადინეობა** [აჯობებდა: გულმოდგინება] და რაც მთავარია, ძირითადი ყურადღების მიქცევა ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთზე“ („ახ. კომ.“)...

მზიური. ზედსართავი სახელის — **მზიურის** — ძირითადი მნიშვნელობა დაკავშირებულია საწარმოებელ **მზე** ფუძის მნიშვნელობასთან. იგი ასე განიმარტება: მზის სხივით უხვად მოფენილი, მზით ხშირად განათებული; გადატ. წმინდა, ნათელი, ბრწყინვალე. სალიტერატურო ქართულისათვის ბუნებრივი და გავრცელებული შესიტყვებებია: **მზიური ველი, მზიური ქვეყანა, მზიური მხარე, მზიური კუთხე, მზიური საქართველო...**

უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით პრესის ენაში, შეინიშნება სიტყვა **მზიურის** მნიშვნელობის არასასურველი გაფართოება. იგი იხმარება, მაგალითად, **სახიამოვნოს, მიმზიდველის** სინონიმად, აგრეთვე, არასწორად გაგებული **ნათელის** მნიშვნელობით, და ცალკეულ არსებით სახელებთან ქმნის არაბუნებრივ, ცრუექსპრესიულ შესიტყვებებს. ასეთებია: 1. **მზიური სასმელი** — ჩაის ან ღვინის მნიშვნელობით [სასმელის მნიშვნელობით უხმარიათ აგრეთვე ექსპრესიმა **მზის წვენიც**: „...ყოველგვარ სასიკეთო საქმეში წვლილის შეტანა დაებედა ასწლოვან **მზის წვენს** — ჩვენებურ კონიაკს“ („ახ. კომ.“)]. 2. **მზიური** (ან **სამზეო**) **სახელები** — ნათელი, საამაყო ან გამოსამზეურებელი სახელების მნიშვნელობით, მაგ.: „...ამ მხრივ გამონაკლისია სასტუმროს ქვეშ მდებარე სასადილო, სადაც... პატივისცემით ეკიდებიან ამ **მზიურ სასმელს** [ჩაისს]“ („ახ. კომ.“); „ქართველი ხალხის **მზიურ სახელებს** შორის ნიკო მუსხელიშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს“ („ახ. კომ.“).

შენიშვნა: ბოლო ხანებში გავ. „კომუნისტმა“ შემოიღო რუბრიკა „**სამზეო სახელები**“— ალბათ, ისეთი გამოთქმების ანალოგიით, როგორცაა **სამზეოზე გამოტანა, გამომზეურება**. მაგრამ, თუ ამ უკანასკნელი გამოთქმების ახსნა შესაძლებელია, **სამზეო** ორაზროვნების საფრთხეს ქმნის: იგი ეთნოგრაფიული ხასიათის ტერმინიცაა, — იხმარება **სააქაოს** მნიშვნელობით: „საფლავი მალე გაივსო... მიწით, რომელმაც მაცუვალა **სამზეოს** გამოასალმა“ (ა. ყაზბ.).

მთელი; მთლიანად. ზედსართავი სახელი **მთელი** ძირითადად განიმარტება როგორც მთლიანი, ერთიანი, დაუნაწევრებელი. ამ მნიშვნელობით იგი ბუნებრივ, სწორ შესიტყვებებს ქმნის ისეთი საგნების აღმნიშვნელ სახელებთან, რომლებიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანი სახით, ისე დანაწევრებულად, დაცალკეებულად. მაგ.: **მთელი ქონება, მთელი ვაშლი, მთელი პური**. ამავე მნიშვნელობით

მთელი უწყვილდება სიტყვა გულსაც. გავრცელებული შესიტყვებებია, მაგალითად: მთელი გულით შეუყვარდა; მთელი გულით მოინდომა (მოიწადინა); მთელი სულითა და გულით გადღეგრძელებ. მთელი ამ შესიტყვებებში ზედმეტია, მაგრამ, თუ სალიტერატურო ენა ამგვარ შესიტყვებებს რამდენადმე იგუებს, ამას განსაზღვრავს უფრო ზმნების სემანტიკა — სურვილი, წადილი, ნდობა, სიყვარული, ვიდრე სიტყვა გული. სხვა შემთხვევებში მთელი ვერ გამოდგება გულის მსაზღვრელად. მაგ.: „წალაში ჩურჩულს მთელი [ზედმეტია!] გული ამოაყოლა“ („ცისკ.“).

2. ზემოთ აღნიშნულ შესიტყვებათა ანალოგიით ჩანს გავრცელებული მთელი გულისყური და მთელი მონდომება. არც გულისყური და არც მონდომება მსაზღვრელს არ საჭიროებს. ერთადერთი მსაზღვრელი, რომელიც შეიძლება შეეწყოს ამ სახელებს, არის სიტყვა დიდი. ამიტომ სტილისტიკურად გაუმართავია ასეთი წინადადებები: „იგი მთელი გულისყურით [უმჯობესია: გულისყურით ან დიდი ყურადღებით] აღევნებდა თვალს... გამოსვლებს“ („ლელო“); „მთელი მონდომებით [უმჯობესია: დიდი მონდომებით] ემზადებოდა სტარტი-სათვის“ („ლელო“).

დიდის მნიშვნელობით გაგებული მთელი ზოგჯერ არასწორად ჩანაცვლება განუსაზღვრელ ნაცვალსახელს — ერთს, მაგ.: „...ნინომ სადილობისას მთელი ამბავი [უმჯობესია: ერთი ამბავი ან დიდი ამბავი] დაატრიალა“ (კ. კობერ.).

3. მთელის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: ერთობლივ, უკლებლივ. ამ მნიშვნელობით ერთმანეთს ჩანაცვლება ზედსართავი მთელი და ზმნისართი მთლიანად: „ზოგიერთ კოლონიაში კოლონიზატორებმა ამოწყვიტეს მთელი მკვიდრი მოსახლეობა [უმჯობესია: მკვიდრი მოსახლეობა მთლიანად ამოწყვიტეს]“ („ახ. ისტ.“ VIII).

მთელი, მთლიანად სიტყვების ზმარებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ზმნის სემანტიკაც, კერძოდ, ზემომოყვანილი წინადადების ზმნა ამოწყვეტა (და მისი სინონიმები: ამოგდება, ამოძირკვა, აოხრება და მისთ.) თავად მოიცავს ერთიანი, მთლიანი მოქმედების შინაარსს. ამიტომ ასეთ ზმნებთან ამავე მნიშვნელობის მქონე ზედსართავ-ზმნისართების ზმარება ზედმეტია. ასევეა ამ წინადადებაშიც: „ისინი ზარბაზნებს უშენდნენ და პირისაგან მიწისა ჰგვიდნენ მთელ [ზედმეტია!] ქალაქებსა და სოფლებს...“ („ახ. ისტ.“ IX).

4. სიტყვა მთელს სინონიმურად შეიძლება დაუკავშირდეს ზედსართავი სახელი სრული, მაგრამ ისინი ერთმანეთს თავისუფლად ვერ ჩანაცვლებიან. მაგ., სტილისტიკურად გაუმართავია: „მთელი სისწრა-

ფით [უმჯობესია: სრული სიჩქარით, ან: ძალიან სწრაფად] მიაქანებდა მანქანას ირაკლი“ („ცისკ.“).

მთელთან სემანტიკურად ახლოს დგას აგრეთვე განყენებული სახელი **სისრულე** (=სრულის თვისება, სრულის ბუნება), განსაკუთრებით, ზმნისართული მნიშვნელობით; ამიტომ მათი დაწყვილება უმართებულოა — ტავტოლოგიურია: „ზღვისპირა ქალაქი, სადაც მთელი სისრულით შესძელით თქვენი ნიჭისა და უნარის გამომჟღავნება... [უნდა იყოს: შეძელით სრულად გამოგველინებინათ ნიჭი და უნარი]“ („კომ.“); „საბჭოთა ახალგაზრდობა თავის ბედნიერებას ერთხელ კიდევ მთელი სისრულით გრძნობს [უმჯობესია: სრულად შეიგრძნობს] არჩევნების დღეებში“ („ახ. კომ.“).

5. **სრულის** ნიუანსით **მთელი** გამოყენებულია დროის აღსანიშნავადაც, კერძოდ, ამგვარ შესიტყვებებში: **მთელი დღე, მთელი ზაფხული, მთელი წელი** და სხვ. აქ **მთელი** შეიძლება შეგვხვდეს ცალ მსაზღვრელადაც და რაოდენობით რიცხვით სახელთან ერთადაც. შდრ.: „თითქმის მთელი დღე დაფრინავს ხან დაბლა, ხან მაღლა“ (ი. გოგბ.) და: „მთელი სამი დღე დავრჩით გზაზე... მე და კიკოლიკი“ (გ. წერეთ.). ამგვარ შემთხვევებში დგება გრამატიკული საკითხი: რაკი დროის გამოხატვა სალიტერატურო ქართულში ძირითადად მიცემით ბრუნვას აქვს დაკისრებული, ამიტომ **მთელ-** ზედსართავით შედგენილ დროის გარემოების გამოხატველ შესიტყვებებშიც უპირატესობა ეძლევა მიცემით ბრუნვას: **მთელ დღეს, მთელ ზაფხულს, მთელ ღამეს** და სხვ.

6. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, განსაკუთრებით, მეცნიერულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში დამკვიდრდა გამოთქმა **მთელი რიგი**. იგი კალკია რუსული გამოთქმისა целый ряд. გვხვდება მსაზღვრელის გარეშეც: **რიგი || წყება** + ნათ. ან სახ. ბრუნვაში დასმული საზღვრული. მათ შორის ნიუანსური სხვაობაა: **ზოგიერთის** მნიშვნელობით ნეიტრალურად ნახმარი **რიგისაგან** განსხვავებით, **მთელი რიგი** ხაზს უსვამს განუსაზღვრელი სიმრავლის საკმაოდენობას ან დიდ მნიშვნელოვნობას. შდრ.: მომხსენებელმა დასვა **რიგი** (=ზოგი, ზოგიერთი, არაერთი) საკითხები(სა) და მომხსენებელმა დასვა **მთელი რიგი** (=საკმაოდ ბევრი, მრავალი; მნიშვნელოვანიც) საკითხები(სა). ზოგჯერ აღნიშნულ გამოთქმას არასწორად ენაცვლება ცალად ნახმარი **მთელი**: „მეცნიერულ აღმოჩენათა საფუძველზე გაჩნდა მრეწველობის მთელი [აკლია: რიგი] ახალი დარგები...“ („ახ. ისტ.“, VIII). „გერმანიის მთელ [აკლია: რიგ] რაიონებში, სადაც წინათ ველები და მინდვრები იყო გაჭიმული, ფაბრიკები, ქარხნები და მუშათა დაბები გაშენდა“ („ახ. ისტ.“ IX).

7. მთელი ზოგჯერ ენაცვლება განსაზღვრებით ნაცვალსახელს — ყველას — აბსტრაქტულ და სხვა მსგავს სახელებთან. მაგ.: „მოქმედებაში ჩააყენეს მთელი არსებული რეზერვები [უმჯობესია: ყველა არსებული რეზერვი]“ („თბილ.“).

მიანიჭებას, მიანიჭება; მინიჭება; მინიჭებაული. მიენიჭება ნიშნავს: მიეცემა, მიეკუთვნება, ებოძება. თუ ამ ზმნის სინონიმები, განსაკუთრებით, მიეცემა, შეიძლება ვინმართ ყოველგვარ ნეიტრალურ სიტუაციაში, მინიჭება მხოლოდ განსაკუთრებულ ბოძებას აღნიშნავს: რასაც ანიჭებენ, ის გარკვეული ჯილდოა რაიმე დამსახურებისათვის; ვისაც ანიჭებენ, მას შრომით თუ ბრძოლით მოპოვებული, დამსახურებული აქვს ეს ჯილდო. ამიტომ ზმნა მიანიჭებს, მიენიჭება და მისი სახელზმნური (უპირთ) ფორმები — მინიჭება, მინიჭებული — ბუნებრივ გამოთქმებს მხოლოდ რამდენიმე სახელთან ქმნიან. ესენია: თავისუფლება, უფლება, სახელი, წოდება, პრემია, ჯილდო... აგრეთვე, განყენებული სახელები — ბედნიერება, სიხარული, სიამოვნება (თუმცა ამ უკანასკნელებთან უფრო ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის ზმნები: არგუნებს / არგუნა ან მოჰგვრის / მოჰგვარა). თავდაპირველი მნიშვნელობა მიანიჭებს ზმნისა კი ღმერთს (განგებას, ზებუნებრივ ძალას) უკავშირდება. ბუნებრივი გამოთქმებია: ღმერთმა მიანიჭა (სიცოცხლე, მადლი...); ვინ მომანიჭებს ბედნიერებას და სხვ. ამიტომ მინიჭებულს ხშირად მარადიულის ნიუანსიც აქვს: მინიჭებული ერთხელ და სამუდამოდ ბოძებული უფლება თუ წოდება... მაგალითად: „იობს რომ უცნაური ჭია-მატლი ეხვეოდნენ, ისინი აღარ გასწყვიტა იობმა და შეევედრა ღმერთს: ნუ მოსპობ ამათ!.. მიანიჭე მადლი, რომ აღამიანის სასარგებლო გახდნენო“ (აქაკი); „ახალი თაობა ყველგან იმისთვის ცდილობს, რომ თავისუფლება მსჯელობისა ყველას მიენიჭოს“ (ილია); „აღსრულებულ იქნება ეგ სამართლიანი წადილი, ესე იგი რუსეთშიაც მიენიჭება გლეხკაცობას თავისუფლება“ (ე. ნინოშვი.); „აგტორობის უფლებას“ უფრო სვიმონს — „მგალობელ კანდელაკს“ ანიჭებდა“ („თბილ.“); „დროებითი კოლექტივების ხელმძღვანელებს ენიჭებათ უფლება შეთავსების პირობებში სამუშაოზე მიიღონ... მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები“ („კომ.“); „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ... შოთა რუსთაველის სახელობის... პრემიები ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის მიანიჭა...“ („მნათ.“); „გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზი მიენიჭა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სტაჟიორს...“ („თბილ.“); „იუბილე გადაუხადეს და საქართველოს სახალხო პოეტის წოდება მიანიჭეს“ („ცისკ.“); „თქვენი ნახვა ბედნიერებას მიანიჭებს [აჯობებდა: მოჰგვრის] მათ...“ (ს. კლდ.); „ყველა

ქვეყანაში ამ ჩვევებს აქეთ ერთი აზრი — მხიარულად შეხვდნენ ახალი წლის დადგომას, **მიანიჭონ** [აჯობებდა: მოპგეარონ] **სიხარული** ახლობლებს...“ („კომ.“); „მე მაშინ მივედი თეატრში, როცა ახალგაზრდა ნინო ლაფაჩი ოსტატურად შესრულებული როლებით წარუშლელ ესთეტიკურ **სიამოვნებას ანიჭებდა** [აჯობებდა: პვერიდა] ქართველ მაყურებელს“ („თბილ.“).

თანამედროვე ქართულში, ალბათ, სტილიზაციის მიზნით, **მინიჭება** ზმნას ზმარობენ ისეთ სიტყვებთანაც, რომლებიც უფრო ბუნებრივ გამოთქმებს შექმნიდნენ **მიცემა** ზმნასთან. მაგალითად: „დაკვირვების ყოველ წერტილს **ენიჭება** [უნდა იყოს: ეძლევა] რიგითი **ნომერი** ან კვლევითი **ინდექსი**“ („ისგ სკოლაში“); „ის კი უნდა ითქვას, რომ შემდგომ ბრძოლაში... [მას] დიდი **შეღავათი მიენიჭება** [უნდა იყოს: მიეცემა ან მისცემენ **შეღავათს**]“ („დროშა“); „...არ შეიძლება ძველ უბნებში თანამედროვე შენობების აგება შენობათა და ნაგებობათა ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული კომპოზიციის გაუთვალისწინებლად, რომლებიც (!) ყოველ გარკვეულ ქალაქს, ქუჩას, პროსპექტს განუმეორებელ **კოლორიტს ანიჭებს** [უნდა იყოს: აძლევს ან უქმნის]“ („კომ.“); „...დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც ცენტრალურ გათბობას მოკლებულ სახლებში ცხოვრობენ, სათბობის ღირებულების 50 პროცენტის **ფასდაკლება ენიჭებათ** [უნდა იყოს: უფლება ეძლევათ, სათბობის ღირებულება 50 პროცენტის ფასდაკლებით გადაიხადონ, ან უფრო მარტივად:... ოჯახები ...გადაიხდიან სათბობის ღირებულების 50 პროცენტს]“. („თბილ.“).

თანამედროვე ქართული პრესის ენაში ვხვდებით გამოთქმას **მინიჭებული მოვალეობა**. მაგ.: „სახალხო კონტროლის ორგანოებში ახალ არჩეულ კონტროლიორებს, თუ სურთ წარმატებით გაართვან თავი მათზე **მინიჭებულ მოვალეობას**, დღენიადავ უნდა იზრუნონ თავიანთი რიგების სიწმინდისათვის“ („კომ.“).

სიტყვა **მოვალეობას** ორგვარი გაგება აქვს: 1. ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული მოვალეობა (ვალი) ვისიმე ან რისამე წინაშე: მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მშობლის (აღმზრდელის) მოვალეობა შვილის წინაშე და, პირუკუ, შვილის მოვალეობა მშობლის წინაშე... და 2. მოვალეობა, რომელსაც ამა თუ იმ პირს აკისრებენ (ან თვითონ ეს პირი კისრულობს) გარკვეული დროის მანძილზე. მაგალითად: „კაცს **დედობის, ქმრობის** და სხვა ამისთანას გარდა კიდევ სხვა ბევრი **მოვალეობა** აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე“ (ილია); „...გვეწაიდა საკუთარი თვალთ გვეხილა ბრძოლის ველზე... თუ ვინ როგორ იხდიდა თავის **პატრიოტულ მოვალეობას**“ („ცისკ.“); „**სამსახურეობრივი მოვალეობის** აღსრულების დროს ლეიტენანტი მბრძანებლობდა“

(„ცისკ.“); „ჭიკოს შემოვხვებით, ველოდით, ვის რა მოვალეობას დაგვაკისრებდა“ (ჭ. ამირეჯ.).

მოვალეობა, როგორც აღინიშნა, შეიძლება დააკისრონ (ან თვითონ იკისრონ). ამიტომ ამ სიტყვასთან, ჩვეულებრივ, მსაზღვრელად იხმარება მიმღეობა **დაკისრებული**. მაგალითად: „დავით მეფეს დაკისრებული ჰქონდა არა მარტო მოვალეობა მიჯნურისა, არამედ მეფისა და მამულიშვილისა“ (ქ. გამს.); „ავტომატიკა ზედმიწევნით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას“ (ქ. მუმლ.); „პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გაკრიტიკებულ იქნენ მთელი რიგი რაიონების სპორტკომიტეტების ხელმძღვანელები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას...“ („სოფლ. ცხოვრ.“).

ამიტომ ზემოთ აღნიშნული წინადადება, რომელიც სინტაქსურადაც გაუმართავია, ასე უნდა გასწორდეს: თუ... კონტროლიორებს სურთ წარმატებით გაართვან თავი მათთვის დაკისრებულ მოვალეობას, დღენიადაგ უნდა იზრუნონ თავიანთი რიგების სიწმინდისათვის, ან: სახალხო კონტროლის ორგანოებში ახალარჩეულმა კონტროლიორებმა, თუ სურთ წარმატებით გაართვან თავი მათთვის დაკისრებულ მოვალეობას, დღენიადაგ უნდა იზრუნონ თავიანთი რიგების სიწმინდისათვის.

სიტყვა მოვალეობა კომპოზიტს ქმნის სიტყვასთან — უფლება (უფლება-მოვალეობანი). ვთქვათ: ამა თუ იმ პირს აკისრია განსაზღვრული მოვალეობა საზოგადოების წინაშე და, ამავე დროს, უფლება-მოსილიცაა... უფლების თითქმის მუდმივი მსაზღვრელია მინიჭებული. ამიტომ მიეკედლა ეს მსაზღვრელი სიტყვა მოვალეობასაც, ჯერ როგორც კომპოზიტის (უფლება-მოვალეობის) ერთ-ერთ წევრს, შემდეგ კი — დამოუკიდებლადაც.

მიადწევს ზმნას, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: მოიპოვებს, შედეგად მიიღებს (შრომით, ბრძოლით, ცდით...). ამ ზმნის მონაწილეობით მიიღება რამდენიმე ბუნებრივი ქართული შეხამება: მიზანს მიაღწევს, საწადელს მიაღწევს, წარმატებას მიაღწევს, გამარჯვებას მიაღწევს... მაგ.: „ლაშა-გიორგიმ დასახულ მიზანს... ვერ მიაღწია“ (ივ. ჯავახ.); „ვანომ მიაღწია გულის საწადელს — გადიდკაცდა“ (ი. ეკალ.); „...ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა გუნდმა“ („ახ. კომ.“).

ამ ზმნასთან შეხამებული სიტყვები წარმოადგენს არსებით სახელებს ანდა გარსებითებულ საწყისებსა თუ მიმღეობებს. უფრო უჭირს მიაღწევს ზმნას მოქმედების გამომხატველ სიტყვებთან (უპირატესად საწყისებთან) შეხამება. ვინაიდან ყოველთვის არ ხერხდება კონკრე-

ტული სინტაგმების გასწორება, ზოგჯერ მიზანშეწონილია წინადადებების სხვაგვარად აგება. მაგალითად:

„ძირითადად კონტროლიორები ...**აღწევან** შემჩნეული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების **აღმოფხვრას** [უმჯობესია: ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ძირითადად კონტროლიორების დამსახურებაა, ან: ნაკლოვანებები რომ აღმოიფხვრა, ეს ძირითადად კონტროლიორების დამსახურებაა“ („კომ.“); „იგი ...ერთი ის იშვიათი ოსტატთაგანი იყო, რომელიც... თავის ახალ **აღმოჩენებს** სინამდვილის კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით ჩვენებისას ამ სინამდვილის ფილოსოფიური გააზრებითაც **აღწევდა** [უმჯობესია: რომლის ახალი აღმოჩენები... სინამდვილის ფილოსოფიურ გააზრებას ემყარებოდა]“ („კომ.“); „ამით **მივაღწევთ** თანამედროვე ქვანახშირის გამდიდრების რაციონალური ტექნოლოგიის **დაინერგვას** [აჯობებდა: ამ გზით დაინერგავდით რაციონალურ ტექნოლოგიას, ან: დაინერგებოდა რაციონალური ტექნოლოგია]“ („კომ.“); „...თავდადებული შრომით კოლმეურნეობა წარმოებისა და შემოსავლის მნიშვნელოვან **ზრდას** **აღწევდა** [უნდა იყოს: მნიშვნელოვნად ზრდიდა, ან: კოლმეურნეობის თავდადებული შრომის შედეგად მნიშვნელოვნად იზრდებოდა შემოსავალი]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მაგრამ სოფლის მეურნეობის **განვითარებას**... ისე ვერ **მივაღწევთ** [უნდა იყოს: ვერ განვავითარებთ, ან: მეურნეობა ისე ვერ განვითარდება]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „...ამ გზით **მიადწიოს** [აჯობებდა: უზრუნველყოს] მსმენელთა მაღალ **აქტივობას**“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მხენელ-მთესველებს გადაწყვეტილი აქვთ ...**მიადწიონ** სიმინდისა და სხვა კულტურების მაღალი მოსავლის **მიღებას** [სწორია: ყოველი ღონე იხმარონ... დიდი მოსავლის მისაღებად]“ („ახ. ცხოვრ.“).

იშვიათ შემთხვევაში სუბიექტად გამოყენებულ საწყისებთან შეხამებულია **მიადწივს** ზმნის მიმღებური ფორმა: **მიდწეულია** პროდუქციის **გაიაფება** და, რა თქმა უნდა **მოგებაც** [უმჯობესია: პროდუქცია გაიაფდა, რამაც მოგება მისცა 'კოლმეურნეობას']“ („სოფლ. ცხოვრ.“).

ზემოთ მოყვანილ ილუსტრაციებში (გარდა ბოლი მაგალითისა) **მიადწივს** ზმნასთან დაკავშირებული საწყისები ბრუნვაუცვლელ (ირიბ) ობიექტად გამოდიან წინადადებაში. არის შემთხვევები, როცა საწყისი სუბიექტის როლს ასრულებს, რაც კიდევ უფრო ამახინჩვებს კონსტრუქციას და სრულიად არაბუნებრივ, ხელოვნურ შესიტყვებებს ქმნის: „...ნერგთა საშუალო **გახარებამ** 72—78 პროცენტს **მიადწია** [უნდა იყოს: საშუალოდ ნერგის 72—78 პროცენტმა გაიხარა]“ („საქ. ბუნ.“); „...**გახარებამ** 82 პროცენტს **მიადწია** [უნდა იყოს: ... 82 პროცენტმა გაიხარა]“ („საქ. ბუნ.“).

ამგვარი კონსტრუქციები გაუმართლებელი კალკირების ნიმუშებია და ამიტომ — უქუსაგდებიც. ისინი უნდა შეიცვალოს სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციებით.

მიაყენავს (მიაყენა) სამპირიანი გარდამავალი ზმნაა და ნიშნავს: სულ ახლოს, ზედ მასთან მიიყვანს და გააჩერებს. ამ ბოლო ხანს პრესის ენაში ზშირად გვხვდება ისეთი შესიტყვებები, როდესაც **მიაყენებს** (მიაყენა) ზმნა დაკავშირებულია საწყისთან ან შინაარსობრივად მასთან ახლოს მდგომ სახელთან. განსაკუთრებით ზშირად გვხვდება გამოთქმები: მიაყენა დამარცხება (სპორტულ ინფორმაციებში), მიაყენა დაზიანება, დარტყმა, ზარალი (სასამართლო-კრიმინალისტურსა და პოლიტიკურ ინფორმაციებში).

ამ სახელურ-ზმნურ შესიტყვებათა ნაცვლად, ჩვეულებრივ, სათანადო მარტივი ზმნა (დაამარცხა, დააზიანა, დარტყა, დაჭრა, დააზარალა) უნდა იყოს გამოყენებული. მაგ.: „მან ...**დამარცხება მიაყენა** ძლიერ მოჭადრაკეებს [უნდა იყოს: დაამარცხა ძლიერი მოჭადრაკეები]“ („ჭიათ. მად.“); „მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ მოსკოვის არმიელებს თბილისში ბრძოლა მოუხდებათ იმ ერთადერთ გუნდთან, რომელმაც მათ ფინალში **დამარცხება მიაყენა** [უნდა იყოს: ისინი... დაამარცხა]“ („ლელო“).

მაშინაც კი, როდესაც გამოთქმის სახელადი ნაწილი (დამარცხება, დარტყმა) გართულებულია დამატებითი ინფორმაციის შემცველი მსაზღვრელით (პირველი, მოულოდნელი, ძლიერი, მძიმე, დიდი...), ზშირ შემთხვევაში ადვილად ხერხდება შესიტყვების გამარტივება (მსაზღვრელი სახელი შესაბამისად ვითარების გარემოებად იქცევა). შდრ.: „სპორტის მოყვარულებმა იციან, რომ **პირველი დამარცხება წლევეანდელ სეზონში ცსკა-ს სწორედ „უალგირისის“ კოლექტივმა მიაყენა** [უნდა იყოს: წლევეანდელ სეზონში ცსკა პირველად სწორედ „უალგირისმა“ დაამარცხა] („თბილ.“); „რეციდივისტმა ძლიერი დარტყმა მიაყენა [უნდა იყოს: ძლიერად დაარტყა] ოფიცერს გულ-მკერდში“ („თბილ.“); „მიკოლა ბაჟანის სიკვდილმა დიდი მწუხარება მიაყენა მის მრავალ მილიონ მკითხველს [უნდა იყოს: დიდად დაამწუხრა... მკითხველი]“ („კომ.“); „არც შვილი დარჩენილა ეალში, — მამას სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა [უნდა იყოს: მამა მსუბუქად დააშავა]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ...ბოყოველმა დანის დარტყმით მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა მიხეილ თაბაგარს [უნდა იყოს: ...დანით მძიმედ დაჭრა... თაბაგარი]“ („ჭიათ. მად.“); „ბრძოლის საერთო რიგებში ჩვენი ქალაქიც დგას, რომელიც მტერს მედგარ დარტყმებს აყენებს [უმჯობესია: მტერს მედგარად უბრძვას]“

(ი. იაშვი, თარგმ.); „გამწარებულმა გოგომ ღვინით გაღვინდა მოძალადეს მაკრატლით **მძიმე კრილობა მიაყენა** [უნდა იყოს: მძიმედ დაჭრა] მარჯვენა თვალის არეში“ („ცისკ.“).

დასახელებულ შესიტყვებათა ერთი ნაწილი შექმნილია ინფორმაციის ტერმინოლოგიური სიზუსტით გადმოცემის სურვილით; თუმცა, უნდა შემოიფარგლოს სასამართლო-კანცელარიული სტილის გამოყენების სფერო; სტილის დახვეწა კი, თავისთავად, პროფესიულ ფარგლებშიც შეიძლება (და საჭიროა!), ხოლო სასამართლო-კრიმინალისტური სიზუსტის დაცვა არ უნდა გახდეს საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილში უმართებულო შესიტყვებათა წარმოშობის საფუძველი.

მიმგზავრება იხ. გაემგზავრება.

მიერ-ი სიტყვაწარმოებითი აფიქსია, რომელიც მიღებულია **მიერ** თანდებულისაგან. ცალკე მდგომი თანდებული **-მიერ** ნათესაობით ბრუნვასთან იხმარება და მიუთითებს საგნის ან მოვლენის წარმომავლობაზე (ადამიანის მიერ, ბუნების მიერ...). ეს თანდებული აფიქსად იქნა გამოყენებული ისეთ ტერმინთა საწარმოებლად, რომლებიც აღნიშნავენ რისგანმე (გა)მომდინარეს, საიდანმე წარმოშობილს. მაგალითად, ბერათა წარმოების ადგილის მიხედვით ტნათმეცნიერებაში შეიქმნა ტერმინები: **ბაგისმიერი** (=ბაგეთა ხშვით წარმოებული ბგერა), **კბილისმიერი** (=ბგერა, რომელიც წარმოითქმის ენის წვერის შეხებით ზედა კბილებთან), **სასისმიერი** (=სასის მონაწილეობით წარმოებული ბგერა), **კბილისმიერი** (=ბგერა, რომლის წარმოქმნაში კბილები და ბაგეები მონაწილეობენ) და სხვ. ბოტანიკური ტერმინია **სოკოსმიერი**; **სოკოსმიერი ავადმყოფობა** — მცენარის დაავადება, გამოწვეული სოკოს მოქმედებით. სპორტული ტერმინია **ძალისმიერი** — ძალაზე დაყრდნობილი, ძალით შესრულებული. მაგ.: „მათ რთული, **ძალისმიერი** პირამიდები ააგეს სცენაზე“ („ახ. კომ.“); იხმარება აგრეთვე **ბუნებისმიერი** — რაც ბუნებიდან მომდინარეობს. ასევეა ნაწარმოები **ნებისმიერი**, რომელიც ფსიქოლოგიის ტერმინია და ნიშნავს: ნებისყოფაზე დამყარებული, ნებისყოფაზე დამოკიდებული. მაგ.: „**ნებისმიერი** ქცევისათვის არავითარ შემთხვევაში არაა შესრულების სიძნელე დამანასიათებელი“ (დ. უზნ.). ამჟამად ეს სიტყვა ფართოდაა გამოყენებული და მას მნიშვნელობაც გაუფართოვდა (იხ. ქველ.).

ბოლო ხანებში შეინიშნება **-მიერ** სუფიქსის გააქტიურება. მაგრამ ზოგჯერ ამ სუფიქსით ახალი სიტყვა აუცილებლობის გარეშეა შექმნილი, ზოგჯერ კი ნაწარმოები სიტყვა ვერ გადმოსცემს სათანადო შინაარსს ან შეუფერებელია ქართული ენის ბუნებისათვის. მაგ.: „ისინი **პარტიისმიერ** ხელმძღვანელობას რაცბავენ ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერებისა და უძლეველობის უმნიშვნელოვანეს წყაროდ“

(„კომ.“). **პარტიისმიერი** არის პარტიისაგან მომდინარე, პარტიისაგან წარმოშობილი, პარტიის ბუნებისაგან წარმომავალი... ამ კონტექსტში კი იგულისხმება პარტიის მიერ გაწეული ხელმძღვანელობა.

სულიერის სინონიმად ხშირად ხმარობენ **სულისმიერს**, რაც ნიშნავს: ის, რაც სულიდან, ადამიანის ფსიქიკიდან მოდის, რაც სულში პოვებს სათავეს. „მათიას ფიქრები დათვთან შერკინებამდე ტყეში, მისი **სულისმიერი** მდგომარეობა ისეა შენივთებული ბუნების ყოველ ამოსუნთქვასთან, რომ წარმოუდგენელიცაა, თუ ოდესმე ბუნების შვილი მშობლის კალთას მოწყდება“ („ლიტ. საქ.“); „მის **სულისმიერ** მოთხოვნილებად, სასიცოცხლო კანონად იქცა“ („ლიტ. საქ.“); „ბულგაკოვის რომანში ნაჩვენებია **სულისმიერი** კონფლიქტები“ („ციცკ.“). ვადმოსაცემი მნიშვნელობისათვის ქართულში დამკვიდრებულია სიტყვა **სულიერი** და ახალი სიტყვის წარმოების საჭიროება ენაში არ იგრძნობა.

მიზეზი — პირობა. თანამედროვე სალიტერატურო ენაში ზოგჯერ ირევა ორი სიტყვა: **მიზეზი** და **პირობა**. არ არის გათვალისწინებული მათ მნიშვნელობებს შორის ნიუანსური განსხვავება და ერთი მეორის ადგილას უმართებულოდაა გამოყენებული.

მიზეზი არის ის მოვლენა, გარემოება, რომელიც იწვევს, ხელს უწყობს, საფუძველს უქმნის სხვა ისეთი ახალი მოვლენის წარმოშობას, რომელიც, ჩვეულებრივ, უარყოფითი ხასიათისაა: მიზეზი უარყოფით შედეგს იწვევს, უარყოფითი მოვლენის, ფაქტის წარმოშობია. **პირობა** კი არის ის, რაზედაც დამოკიდებულია რისამე შესრულება, რაც განსაზღვრავს, განაპირობებს, შეაპირობებს რასმე: რაც საფუძვლად ედება რისამე შესრულებას, — საწინდარი. **პირობა** დადებით შედეგს განსაზღვრავს, მიზეზი — უარყოფითს.

სახელები **მიზეზი** და **პირობა** შესიტყვებაში, ჩვეულებრივ, საზღვრულის როლშია, ხოლო მსაზღვრელი მიუთითებს, თუ რის მიზეზზე ან პირობაზეა ლაპარაკი. თუ მსაზღვრელი დადებითი შინაარსის სიტყვაა (როგორცაა, მაგ.: **გამარჯვება, წინსვლა, წარმატება, ჯანმრთელობა...**), მას შინაარსობრივად **პირობა** შეეხამება; ხოლო თუ მსაზღვრელი უარყოფითი ელფერის შემცველია (მაგ.: **დამარცხება, ჩამორჩენა, ავადმყოფობა...**), მას შინაარსობრივად **მიზეზი** მიესადაგება.

ამგვარი განაწილების გამო, ერთი მხრივ, გვაქვს უარყოფითი ნიუანსის შემცველი შესიტყვებები: **ჩამორჩენის მიზეზი, დამარცხების მიზეზი, უკანსვლის მიზეზი, წარუმატებლობის მიზეზი, აჯანყების მიზეზი, განხეთქილების მიზეზი, აღელვების მიზეზი, ჩხუბის მიზეზი, დაგვიანების მიზეზი, ავადმყოფობის მიზეზი, ხანძრის მიზეზი, უარის მიზეზი, უსიამოვნების მიზეზი...** მაგ.: „აღმასკომმა გააანალიზა ნაკლოვანე-

ბათა გამომწვევი მიზეზები“ („კომ.“); „მეტი წილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მიზეზია ის, რომ მძღოლები არღვევენ მოძრაობის წესებს“ („თბილ.“); „ამგვარი მიმართვის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ადგილებზე ობიექტურობას არ იჩენენ“ („კომ.“).

მეორე მხრივ, გვაქვს დადებითი შინაარსის შემცველი შესიტყვებები: გამარჯვების პირობა, წარმატების პირობა, წინსვლის პირობა, კეთილდღეობის პირობა, აღმავლობის პირობა, ჯანმრთელობის პირობა... არ იხმარება: უკანსვლის (ჩამორჩენის, ავადმყოფობის, განხეთქილების, ჩხუბის...) პირობა ან: წინსვლის (აღმავლობის, ჯანმრთელობის, წარმატების...) მიზეზი.

მიუხედავად ასეთი სტილისტიკური დიფერენციაციისა, თანამედროვე სალიტერატურო ენაში ამ ორი სიტყვის ხმარებისას დასტურდება აღრევის შემთხვევები. მაგ: „მათ რომ მთელი რიგი ხელისშემშლელი პირობები [უნდა იყოს: მიზეზები] არ ჰქონდეთ... უკეთესი შედეგი იქნებოდა“ („კომ. დროშა“); „ბავლო ტიჩინამ სწორად შენიშნა მიღწეულ გამარჯვებათა ძირითადი მიზეზი [უნდა იყოს: ფაქტორი, ან პირობა]“ („ლიტ. საქ.“); „ქართველთა ძალ-ღონის მიზეზი [უნდა იყოს: პირობა, ან: საწინდარი] იყო მტკიცე ძმობა“ (ი. გოგებ.).

მიიღებს (მიიღო) ზმნა ქართულში მრავალი მნიშვნელობით იხმარება. მაგ.: წერილს მიიღებს, ბინას მიიღებს; საყვედური მიიღო, დადგენილება მიიღეს, ქრისტიანობა მიიღო და მისთ.

უკანასკნელ ხანს **მიიღებს** (მიიღო) ზმნამ კიდევ უფრო გაიფართოვა მნიშვნელობა, რამაც მისი ძირითადი სემანტიკის გაცვეთა გამოიწვია. ამის შედეგად კი ეს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე აქტიური სემანტიკის ზმნა მთელ რიგ შესიტყვებებში დამხმარე ზმნად იქცა.

1. **მიიღო დახმარება, დაზიანება.** ზემოთქმული მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, ეხება ისეთ შესიტყვებებს, რომლებშიც **მიიღებს** (მიიღო) ზმნა სინტაგმაში დაკავშირებულია საწყისთან ან შინაარსობრივად მასთან ახლოს მდგომ სახელთან: **მიიღებს დახმარებას, მიიღო დაზიანება** და მისთ. ამ შესიტყვებათა ძირითადი სემანტიკური ღერძი სახელია — პირდაპირი ობიექტი, შემასმენელი კი (**მიიღებს, მიიღო**) მხოლოდ დამხმარე ზმნის ფუნქციას ასრულებს. აღნიშნულ გამოთქმათა დიდი ნაწილი შეიძლება გადმოცემულიყო ერთი მარტივი ზმნით: **დაეხმარება, დააზიანა, დაჭრა.** შდრ.: „დახმარება მიიღეს... ქიურთგის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისაგან [უნდა იყოს: დაეხმარა ქიურთგის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი]“ („კომ.“); „სანერგეში ნაყენი ვაზის რაც შეიძლება დიდი რაოდენობით აღმოცენება რომ მივიღოთ [უნდა იყოს: სანერგეში რაც შეიძლება მეტი ვაზი რომ აღ-

მოცენდეს], საჭიროა ყველა სამუშაო ჩატარდეს დროზე“ („სოფლ-ცხოვრ.“); „ნ. რომელაშვილმა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება მიიღო [უნდა იყოს: რომელაშვილი მძიმედ დაშავდა]“ („სოფლ-ცხოვრ.“); „ს. ჩიბურდანიძემ სხეულის ნაკლებადმძიმე დაზიანება მიიღო [უნდა იყოს: ს. ჩიბურდანიძე მსუბუქად დაშავდა]“.

თუ შესიტყვებას მარტივ ზმნასთან შედარებით დამატებითი, განს-ხვავებული ნიუანსები აქვს (მაგალითად, ახლავს ზედსართავი სახელი, რომლის შეცვლა ზმნისართით ყოველთვის არ ხერხდება, აკლია სა-თანადო მწკრივის ფორმა, ანდა გამოთქმის სახელურ ნაწილს შექმნილი აქვს ტერმინოლოგიური მნიშვნელობა), მაშინ მისგან მარტივი ზმნა ვე-ლარ იწარმოება და კვლავ სახელურ-ზმნური შესიტყვება დარჩება (შდრ.: „ზოგიერთმა სერიოზული დამწვრობა მიიღო“, — „თბილ.“); ამიტომ იურიდიულ დოკუმენტაციაში ტერმინოლოგიური ღირებულე-ბა აქვს გამოთქმებს: სხეულის ნაკლებად მძიმე/მძიმე/მსუბუქი... დაშავება, მაგრამ საგაზეთო ინფორმაციაში ისინი უნდა გავამარტივოთ და სათანადო მარტივი ზმნით გადმოვცეთ (იხ. ზემომოყვანილი წინა-დადებები).

2. მიიღო რძე, ყურძენი... თანამედროვე პრესის ენაში მიიღებს (მიიღო) ზმნა ძალიან ხშირად იხმარება სოფლის მეურნეობის პროდუქ-ტების დამზადებასთან, მათ დაგროვებასთან დაკავშირებულ შესიტყვე-ბებში. სათანადო შინაარსის გამოსახატავად ქართულში სხვადასხვა ზმნა არსებობს, — იმის გათვალისწინებით, ესა თუ ის პროდუქტი რისგან ან როგორ არის მიღებული. მაგ.: „აქ უშუალოდ თვითეულ ფურზე 2.265 კგ რძე მიიღეს [უნდა იყოს: ფურისაგან... ჩამოწველი-ლია]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ყოველ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით 5 ტონა საადრეო კომპოსტოს იღებენ [უნდა იყოს: იწევენ]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მან 36-ის ნაცვლად 116,4 ცენტნერი ყურძენი მიიღო [უნდა იყოს: მოკრიფა]“ („განთ.,“ ვანი); „მალე დაეიწყებთ სიმინდის მწვანე მასის მიღებას“ [უნდა იყოს: აღებას]“ („ლენ. გზით.“).

მიმდინარეობს ზმნის ძირითადი მნიშვნელობა: მიედინება, მი-დის (მაგ., წყალი, მდინარე; გადატ. ცხოვრება, დრო). თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ზმნის გამოყენების არც გაფარ-თოვდა: 1. როგორც პროცესის აღმნიშვნელი, იგი არასწორად ჩაენა-ცვლა შესიტყვებაში ტარდება ზმნას რამდენიმე სახელთან. ეს სახელე-ბია: მეცადინეობა, სემინარი, კრება... მაგ.: „დიდი აღმავლობით მიმ-დინარეობს [უნდა იყოს: ტარდება] მეცადინეობა ავროტექნიკისა და მექანიზაციის წრეებში...“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ინსტიტუტში მიმდინა-რეობს [უნდა იყოს: ტარდება] წყალმომარაგების ღონისძიებებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სემინარი“ („კომ.“); „ახლა რაიონის კოლ-

შეურნეობებში მიმდინარეობს [უნდა იყოს: ტარდება] საანგარიშო-საარჩევნო კრებები“ („განთ.“); „ყველა სკოლაში მიმდინარეობს [უნდა იყოს: ტარდება] საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის დღეები“ („თბილ.“); „რეგულარულად მიმდინარეობს [უნდა იყოს: ტარდება] აცრები“ („კომ.“). თვით ტარდება ზმნით შედგენილ არასწორ შესიტყვებათა შესახებ იხ. ატარებს, ტარდება.

2. მიმდინარეობს ზმნამ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, შეიძინა დამხმარე ზმნის ფუნქცია და სახელურ-ზმნური შესიტყვება შეადგინა საწყისთან (ან მასთან ანლოს მდგომ სახელთან). ამგვარი შესიტყვებით გამოხატული შინაარსი შეიძლება მარტივი ზმნა-შემასმენლითაც გადმოიცეს. შდრ.: მიმდინარეობს მოსაველის აღება და მოსავალს იღებენ; მიმდინარეობს ხვანა და ხნავენ, მიმდინარეობს თესვა და თესავენ...

სახელურ-ზმნურ შესიტყვებას ზოგი უპირატესობა აქვს მარტივ შემასმენელთან შედარებით: თუ ცალი (მარტივი) ზმნა-შემასმენელი ზოგჯერ სასაუბრო, ნეიტრალურ ფრაზას ქმნის, სახელურ-ზმნური შესიტყვება სტილისტიკურად შეფერილს ხდის იმავე ფრაზას, — ოფიციალურ, საქმიან ელფერს მატებს მას. სახელურ-ზმნური შესიტყვება ადვილად დაირთავს ვითარების ზმნისართს, რომელიც ზშირად აუცილებელია ფრაზისათვის ექსპრესიულობის შესაძენად. შდრ.: წარმატებით მიმდინარეობს ხვანა და ხნავენ (არ ივარგებდა: წარმატებით)...

არის შემთხვევები, როცა სახელურ-ზმნურ შესიტყვებას ძნელად ეძებნება (ან არც ეძებნება) შესატყვისი (შემცვლელი) მარტივი შემასმენელი. კერძოდ, როცა მოქმედების აღმნიშვნელი სახელი (საწყისი) ტერმინის ღირებულებისაა და მყარ გამოთქმას ქმნის. ასეთ გამოთქმებს ზშირად ქმნიან შემდეგი სახელები: სამუშაო(ები), მუშაობა, დამუშავება, მშენებლობა, რემონტი... ან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის სამუშაოს აღმნიშვნელი სახელები (კულტივაცია, გამოზამთრება, გამოკვება, დაფოთვლა, ტეხა-ნემსვი და სხვ.). მაგალითად: „...ყოველწლიურად მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები 110—120 ძეგლზე“ („კომ.“); „ამჟამად რესპუბლიკაში დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს“ („კომ.“); „დედაქალაქში ამჟამად დიდი მშენებლობა მიმდინარეობს“ („თბილ.“); „სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პლანტაციების მეორადი დამუშავება“ („გამარჯვ. დროშა“); „ყველა მეურნეობაში ნორმალურად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მიმდინარეობს ჯეჯილების მინერალური სასუქებით გამოკვება“ („გამარჯვ. გზა“); „კულტივაცია მიმდინარეობდა როგორც თესვის მიმართულებით, ასევე მის საწინააღმდეგოდ“ („გამარჯვ. დროშა“); „ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს შემოსული

ფოთლის ტეხა-ნემსვა“ („გამარჯვ. გზა“)... მაგრამ ზოგიერთი ასეთი გამოთქმა იქცა ენობრივ შტამად, რომლის თავიდან აცილება ხშირ შემთხვევაში სასურველია და შესაძლებელიც. მაგალითად: „**მშენებლობა... მიმდინარეობდა** [უმჯობესია: საბჭოებს ამშენებდნენ] არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში“ („სამშ.“); „ძალზე ნელი ტემპით **მიმდინარეობს... საწყობების მშენებლობა** [უმჯობესია: ამშენებენ საწყობებს]“ („გამარჯვ. გზა“); „მთელი რიგი დეტალების **რემონტი მიმდინარეობს** [უმჯობესია: ...დეტალებს არემონტებენ] ეპოქსიდური ფისების საშუალებით“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ტექნიკის **რემონტი** გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით **მიმდინარეობს** [ჯობს: მანქანა-იარაღებს არემონტებენ ...გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით]“ („სოფლ. ცხოვრ.“).

აღნიშნული, ტერმინის ტოლი შესიტყვებების ანალოგიით გავრცელდა (გახსაკუთრებით, პრესის ენაში) **მიმდინარეობს** ზმნით შედგენილი არაბუნებრივი საბელურ-ზმნური შესიტყვებები. სემანტიკურად ისინი შესატყვისი მარტივი ზმნა-შემასმენლის იდენტურნი არიან, სტილს კი ამძიმებენ, — კანცელარიულ ხასიათს სძენენ. მაგალითად: „ახლა ვასუქებთ 88 სულ ღორს, რომლის **კვებაც** ზოოწესებით **მიმდინარეობს** [უნდა იყოს: ...რომელთაც (გამო)კვებავთ ზოოწესების დაცვით]“ („უნ. გზით“); „**მიმდინარეობს** მწვანე ზონის გენერალური გეგმის **შედგენა** [უნდა იყოს: ადგენენ... გეგმას]“ („საქ. ბუნ.“) „**მიმდინარეობს** ყვავილების რგვა [უნდა იყოს: რგავენ ყვავილებს]“ („კომ.“); „**დღეს აქ მიმდინარეობს** სახსრების **შეგროვება** [უნდა იყოს. აგროვებენ სახსრებს] აფრიკის... ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დახმარების ფონდისათვის...“ („თბილ.“); „**მიმდინარეობს** სკოლის გარემოს **გამშვენიერება** [უნდა იყოს: ამშვენიერებენ სკოლის გარემოს]“ („კომ. განთ.“); „სასწრაფო წესით **მიმდინარეობს** ელექტროქსელისა და კავშირგაბმულობის დაზიანებული ხაზების **აღდგენა** [უნდა იყოს: სასწრაფოდ აღადგენენ... ხაზებს]“ („კომ.“); „მიდინარე ყვარილაში **ქვირითის დაყრა მიმდინარეობს** როგორც ადგილობრივ, ისე შემოსულ თევზთაგან [უნდა იყოს: ქვირითს ყრიან... თევზები]“ („ახ. ცხოვრ.“). ასეთივე არასწორ შესიტყვებას ქმნის ზმნა **მიმდინარეობს** ზოგიერთ არსებით სახელთანაც: „ყველა **დღე** ერთნაირად **მიმდინარეობს** [უნდა იყოს: მიღის, ან: ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს]“ („გამარჯვ. დროშა“); „ყველგან ინტერნაციონალური სტუდისკვეთებით **მიმდინარეობს შრომის პათოსი** [უნდა იყოს: იგრძნობა ინტერნაციონალური სტუდი და შრომის პათოსი]“

(„გამარჯვ. დროშა“). ამგვარი კანცელარიული შტამპები მიუღებელია სალიტერატურო ენისათვის.

მინდორი. ფეხბურთის მოედნის მნიშვნელობით ამ სიტყვის უმაღლესი ხმარების შესახებ იხ. მოედანი — მინდორი.

მინიჭებული მოვალეობა. მოვალეობა სიტყვასთან ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის მიმღეობა დაკისრებული (და არა მინიჭებული). იხ. მინიჭებს, მიენიჭება; მინიჭება, მინიჭებული.

მისამართით — მიმართ. 1. მისამართი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა და აღნიშნავს წარწერას, რომელიც საფოსტო გზავნილზეა გაკეთებული; ან ზუსტ ცნობას ვისიმე საცხოვრებელი ბინის ან დაწესებულების ადგილსამყოფლის შესახებ.

მაგრამ იგივე სიტყვა მოქმედებითი ბრუნვის ფორმით ზმნისართის ფუნქციითაც იხმარება (განსაკუთრებით, ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან). ამ შემთხვევაში გასამიჯნავია მისამართით სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. შდრ. ერთი მხრივ: „რედაქციის მისამართით კვლავ უამრავი წერილი მოდის“ („კომ.“); „ყველა საინტერესო და გაურკვეველ საკითხზე შეგიძლიათ მოგვმართოთ სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მისამართით“ („ლელო“); ანდა ასეთი ფრაზები: ამ მისამართით მოგვწერეთ, წერილი არასწორი მისამართით გაუგზავნიათ... და, მეორე მხრივ: „ყველა იმათი მისამართით ვამბობ“ („კომ.“); „ნოდარი ბატონების მისამართით ამბობს“ („ქართ. ლიტ.“) და მისთ.

მეორე რიგის მაგალითებში შესიტყვება ვისიმე მისამართით ნიშნავს: ვისიმე გასაგონად, საყურადღებოდ. მაშასადამე, ამ კონსტრუქციის გამოყენება უსულო სახელთა მიმართ შეუძლებელია. მაგრამ თანამედროვე პრესაში ეს წესი ზოგჯერ ირღვევა: „როგორ შეიძლება ქირკილი იმ ლექსის მისამართით [უნდა იყოს: ლექსზე, ლექსის გამო], რომელიც თითქოსდა საკუთარი საფლავის ქვაზე ამოკვეთილ ეპიტაფიად დაუწერია ვახტანგ VI-ს“ („ლიტ. საქ.“); „ამგვარი გამონათქვამების მისამართით [უნდა იყოს: შესახებ] მე მაინც უნდა გვაკეთო კომენტარი“ („ცისკ.“).

2. აღნიშნული კონსტრუქცია სემანტიკურად სინონიმურია მიმართ თანდებულის კონსტრუქციისა. მიმართ თანდებულისა შესიტყვებები საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე ქართულში. მაგ.: „რაი-ალმასკომში სამედიცინო პერსონალის მიმართ საჩივრები არ ყოფილა“ („კომ.“); „...ჰიჭინაძის მიმართ სსსამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება“ („წინსვ.“).

სწორედ მიმართ და მისამართით სიტყვათა ფორმობრივ-ფუნქციური მსგავსებით და, ნაწილობრივ, რუსულში გავრცელებული გა-

მოქმედების — по отношению к, в отношении — გავლენით უნდა აიხსნას პრესის ენაში მისამართით ზმნისართიანი კონსტრუქციის გავრცელება გამოთქმები, რომლებშიც სიტყვა მისამართით თანდებულის ფუნქციით გვევლინება, იმდენად დამახასიათებელი არ არის სასაუბრო და მხატვრული ლიტერატურის ენისათვის, რამდენადაც გაზეთის ენისათვის. იგი თანამედროვე ქართულში პუბლიცისტური სტილის შემონატანია. მაგრამ ამგვარ შესიტყვებათა შემცველი კონტექსტები ხშირად აზრობრივად ბუნდოვანია, სტილებრივად კი — დაუხვეწავი.

მართალია, მიმართ თანდებულიანი კონსტრუქცია დამახასიათებელი იყო ძველი და ახალი ქართულისათვის, მაგრამ ამ სიტყვის მოხმარების არის იმგვარი გაფართოება, როგორც გვაქვს თანამედროვე პუბლიცისტურ ლიტერატურაში, მაინც არასასურველია; ხშირად მისამართით და მიმართ თანდებულიანი გამოთქმები უმართებულოდ ცვლიან ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივ, ნათელ და დახვეწილ, ერთი მხრივ, -ზე, შესახებ, თაობაზე თანდებულიანი კონსტრუქციებს, მეორე მხრივ კი — გასაგონად, საყურადღებოდ სიტყვების შემცველ გამოთქმებს. მაგ.: „ერეკლეს მისამართით [უნდა იყოს: შესახებ, ან: ერეკლეზე] სოლომონი აღელვებით ფიქრობს“ („ქართ. ლიტ.“); „აი, ეს ფრაზებიც, ნათელა იანქოშვილის მისამართით [უნდა იყოს: შესახებ, ან იანქოშვილზე] თქმული“ („ლიტ. საქ.“); „მათი მისამართით [უნდა იყოს: მათ შესახებ] იგი წერდა...“ („ლიტ. საქ.“); „ყველა იმათი მისამართით [უმჯობესია: გასაგონად, საყურადღებოდ] ვამბობ, ვისაც სიახლისა და გამოცდილების პროპაგანდა ევალება“ („კომ.“); „ჩემს ნარკვევში მოტანილია [სწორია: მოყვანილია] ოსების შეგონება დომენტი კათალიკოსის მისამართით [უნდა იყოს: მიმართ]“ („ლიტ. საქ.“); „ეს განცხადება მინისტრმა გააკეთა „მაღალი რანგის“ სპეციალისტების მისამართით [უმჯობესია: გასაგონად, საყურადღებოდ]“ („წინსვ.“); „ამ საკითხის მიმართ [უნდა იყოს: ამ საკითხზე, ან: ამ საკითხთან დაკავშირებით] საქალაქო კომიტეტის პოზიცია უფრო პრინციპული უნდა იყოს“ („კომ.“); „7 მოქალაქის მიმართ კი მასალები [უნდა იყოს: მასალები შვიდი მოქალაქის შესახებ, ან: 7 მოქალაქესთან დაკავშირებული მასალები]... გადაეგზავნა ხულოს შინაგან საქმეთა განყოფილებას“ („სოფლ. ცხოვრ.“).

მისი. მესამე პირის ნაცვალსახელის (ის || იგი) ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მისი გამოყენებულია მესამე პირისავე კუთვნილებით ნაცვალსახელად.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ძველ ქართულსა და ქართული ენის ზოგ დიალექტში (აგრეთვე, მეგრულ-ჭანურშიც) მისი ნაცვალსახელი კუთვნილებითობის გარდა გამოიყენება უკუქცე-

ვითობის ფუნქციით. მაგ.: „**შუშანიკმა** თანა მიიყვანა სამნი იგი ძენი მისნი და ერთი ასული“ (ცურტაე.); „**თინათინმა** მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი“ (რუსთ.); „**დიდხანს** ყოყმანობდა წერეთელი, მისი **ნაერთგულარი ბაქარას** შვილები დასაკარგავად არ ემეტებოდა“ (აკაკი); „სონიას თვალწინ ედგა... გაჯიუტებული მისი ძმა ბეგლარი და მისი ქმარი ოტიაც“ (დ. კლდ.) და სხვ. ამგვარ შემთხვევებში უკუქცევითობის გამოსახატავად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაჩნდა ნაცვალსახელი **თავისი** (იხ.). ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ თანამედროვე ქართულში ხშირია **მის** და **თავის** ნაცვალსახელთა ხმარებისას აღრევის შემთხვევები. ასეთი აღრევის მაგალითებია თანამედროვე ბეკდური პროდუქციიდან: „**მანსოვს**, იაკობი ძალიან ბევრს ლაპარაკობდა საქართველოზე, ქართველ ხალხზე, რაქაზე — **მის დედულეთზე**. იგონებდა იქ გატარებულ ბავშვობას, ძალზე დამაფიქრებლად მიყვებოდა **მის ოჯახზე**, შვილებზე („სოფლ. ცხოვრ.“); „**იოსებ** ჟორდანიამი დროებით **მის მოადგილეს** დაავალა მეგზურობა და კვლავ სტუმრებს მიუბრუნდა“ („კომ.“); „**ამისათვის** გონებაცა და ღონეც მოსდევდა **ვარსკენს**, მაგრამ ისეთი რამ უშლიდა ხელს, რასაც ვერაფრით მოერეოდა: მას **შუშანიკი** უყვარდა! უყვარდა **მისი ოთხი შვილის დედა**, ლამაზი ქალი“ („ცისკ.“); „**საბას** არაერთი სხვა ქართული („მსოფლიური“) სიტყვა აქვს შეტანილი **მის ლექსიკონში...**“ („მაცნე“); „**თამარი მისი ყოფილი** სკოლის ხშირი სტუმარია“ („საქ. ქალი“); „**წურაბ** ყიფშიძე მღელვარებით ეგებება ყოველ ახალ როლს, რომლითაც სიხარული უნდა მოუტანოს **მის მაყურებელს**, რომლითაც უნდა დაიცვას **მისი ოჯახის** და პროფესიის ღირსება“ („ახ. კომ.“) და მისთ.

დასახელებულ შემთხვევებში ნაცვალსახელი **მისი** სწორად არ არის გამოყენებული, ვინაიდან ყველგან მესამე სუბიექტური პირის კუთვნილებათა აღსანიშნავი და ასეთი შემთხვევებისათვის კი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვაქვს უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავისი** (იხ.). მაშასადამე, შესაბამისად უნდა ყოფილიყო: მიყვებოდა **თავის დედულეთზე**, **თავის ოჯახზე**; **თავის მოადგილეს**; **თავისი ოთხი შვილის დედა**; **თავის ლექსიკონში**; **თავის მაყურებელს**, **თავისი ოჯახის**.

ნაცვალსახელი **მისი** მხოლოდობითში და **მათი** მრავლობითში გამოხატავენ საერთოდ III პირის კუთვნილებას სუბიექტთან მიმართების გარეშე, ე. ი. უკუქცევითობის სემანტიკა მათ არ ახლავთ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

მიუზღავს (მიუზღო) სამპირიანი გარდამავალი ზმნაა და ნიშნავს: **სამაგიეროს** გადაუხდის (გადაუხადა). ამასთანავე, ივარაუდება, რომ ეს

სამაგიერო მოქმედება გამორწვეულია, — საბასუხო რეაქციაა, რომელსაც წინ უძღოდა არასამართლიანი (მზღველის, შურისმაძიებლის პოზიციიდან) საქციელი, დანაშაული. ამ ზმნის სემანტიკაში არსებითია შეფასების მომენტი: მოსაუბრეს მიაჩნია, რომ აღნიშნული სამაგიერო მოქმედებით ერთგვარად აღდგება წონასწორობა დაკარგული სამართლიანობისა. ბუნებრივი და გაერთელებული შესიტყვებებია: **სამაგიერო მიუზღო (მიეზღო), კუთენილი მიუზღო (მიეზღო), დამსახურებულად, ღირსეულად მიეზღო...** მაშასადამე, **მიუზღო (მიეზღო)** შეიფუტებს დანაშაულის საბასუხო მოქმედების შეფასების გამომხატველ სახელებს (სამაგიერო, კუთენილი, დამსახურებული / დამსახურებულად...) და არა კონკრეტულად ამ სამაგიერო მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს (მაგ.: სასჯელი, გაკიცხვა, საყვედური და მისთ.).

მაგრამ თანამედროვე ქართული პრესის ენაში, კერძოდ კი სასამართლო-კრიმინალისტურ ქრონიკაში, დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც **მიუზღო** ზმნისთან დაკავშირებულია თვით დასჯის სახის, ღონისძიების გადმომცემი სახელები. ასეთი დაკავშირება არ არის მართებული, რადგანაც ამ ზმნის მნიშვნელობა აუცილებლად ითხოვს შეფასებითი მომენტის ასახვას, ხოლო მთელი მოქმედება ისედაც დამსჯელ ღონისძიებად გაიგება. ამიტომ გამოთქმები — **სასჯელი მიუზღო, საყვედური მიუზღო** და მისთ. უმართებულო შესიტყვებებად აღიქმება. მაგ.: „კანტორის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ა. კირტავას სასტიკი **საყვედური მიუზღეს** [უნდა იყოს: გამოუცხადეს]“ („თბილ.“); „ასეთი საქციელი საქალაქო ავტონისპექციის მუშაკებმა არ „მოუწონეს“ და დამნაშავეს კუთენილი **სასჯელი მიუზღეს** [უნდა იყოს: საკადრისი, კუთენილი მიუზღეს]“ („თბილ.“); „ავტონისპექტორმა უბასუხისმგებლო და დაუღვევარ მძღოლს საკადრისი **სასჯელი მიუზღო** [უნდა იყოს: საკადრისი მიუზღო, ან: საკადრისი სასჯელი დაადო, ან: საკადრისად დასაჯა]“ („თბილ.“); „ალბათ ჩვენი კანონი ღმობიერია ასეთი აღამიანების მიმართ, ბევრად უფრო მკაცრი **სასჯელი უნდა მიუზღოთ** [უნდა იყოს: მკაცრად უნდა დავსაჯოთ, ან: მკაცრი სასჯელი უნდა დაეადოთ] იმათ, ვინც ყველაზე ძვირფასს, ადამიანის სიცოცხლეს ასე იოლად ზეღყოფს“ („თბილ.“).

მნიშვნის შედარებით გვიან გაჩენილი ნასახლოარი ზმნაა და მნიშვნელობითაც ახლოს დგას საყრდენი ფუძის მნიშვნელობასთან. **ძღვენი** — საჩუქრად მირთმეული რამ, მოსაკითხი; **უძღვნის** — ძღვნად აძლევს, უბოძებს, აჩუქებს. ამ ზმნის სხვა მნიშვნელობებია: რისამე აღსანიშნავად მოაწყობს, რასმე დაუთვავირებს (სხდომას, კრებას...); უძღვნის (რაიმე ნაწარმოებს — მხატვრულს, მუსიკალურს, სამეცნიერ-

როს) ვინმეს ნიშნად პატივისცემისა, სიყვარულისა: „ამ წიგნს ვუძღვნი ძვირფას დედას“ (გ. ლეოზ.).

ახალ ქართულში დასახელებული ზმნა შესიტყვეებას ქმნის ისეთ სახელებთანაც, რომელთა ჩუქება, ბოძება, მიართმევა, მიცემა შესაძლებელია. მაგ.: „ერთხელ დადიანმა იმერეთის მეფეს... ნებიერი უძღვნი“ (აკაკი). მაგრამ უფრო ხშირად უძღვნის ზმნა შესიტყვებაში დაკავშირებულია ისეთ სახელებთან, რომელთა მიერ გამოხატული საგნების (თუ მოვლენების) ჩუქება ან ბოძება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ გზით იქნა მიღებული მყარი გამოთქმები: **მადლობას მიუძღვნის** — მადლობას ეტყვის, მადლობას გადაუხდის; **ქებას მიუძღვნის** — აქებს, საქებას სიტყვებს ეტყვის. მაშასადამე, ამ გამოთქმების შინაარსი რისამე მადლობის, ქების თქმასთან, ზოგადად, მეტყველებასთან არის დაკავშირებული.

მიუძღვნის ზმნის ამოსავალი (ჩუქების, ბოძების) და უკანასკნელი მნიშვნელობით გამოყენებისას მიძღვნის ადრესატია კონკრეტული პირი, რომელსაც საჩუქარს მიართმევენ ან უკვდავოფენ მას საკუთარი ნაწარმოების მიძღვნით. მხოლოდ მეორე შემთხვევაში შეიძლება მიძღვნის ადრესატად უსულო საგანი ან განყენებული ცნება — რაიმე მოვლენა, თარიღი (კერძოდ, ამა თუ იმ პირისა თუ დაწესებულების საიუბილეო თარიღი და მისთ.) ვიგულისხმობ. ხოლო თვით ის, რასაც ეძღვნება კრება, სხდომა, სესია..., მულამ ადამიანთა თავყრილობას ვარაუდობს და გარკვეული ღონისძიების, საორგანიზაციო მუშაობის ჩატარებასთანაა დაკავშირებული. სხვაგვარად **მიძღვნა** ზმნის ეს მნიშვნელობა წარმოუდგენელია. ამ ფუნქციით შეუძლებელია ისეთი სახელის გამოყენება, რომელიც გამოხატავს საგნის თვისებას, გარკვეულ ნიშანს და არა მოქმედებას. ასეთი თვისებებია, კერძოდ, ცოდნა, ენერჯია, რომელთა მიძღვნა (იქნება ადრესატი სულიერი თუ უსულო) აზრობრივად დაუშვებელია, ალოგიკურია. მოუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულ პრესაში ამის მაგალითებიც მოიპოვება: „მეტენიერი... მთელ თავის ცოდნას და ენერჯიას საქართველოს ისტორიული მასალების... კვლევასა და გამოქვეყნებას უძღვნიდა [უხნა იყოს: ახმარდა]“ („ლიტ. საქ.); „ახალგაზრდა კაცი!... წლების მანძილზე ყოველ შაბათსა და კვირას ახალგაზრდების ინტელექტუალურ წვრთნას უძღვნის [უხნა იყოს: ანდომებს, უთმობს]“ („თბილ.“).

ცოდნა, ენერჯია სიტყვებთან უფრო შესაფერისია **მოახმარს** (იხ.) ზმნის გამოყენება. სალიტერატურო ქართულშიც სწორედ ეს მყარი გამოთქმაა დამკვიდრებული, ხოლო დროის გამოხატველ სახელებთან უფრო შესაფერისია **დაუთმობს, მოანდომებს (მოუწოდება)** ზმნების ხმარება.

შეუფერებელია **მიუძღვნის** ზმნასთან აგრეთვე სახელის — **კომენტარის** — დაკავშირება: „მსოფლიოს ბევრი ქვეყნის გაზეთები **კომენტარს უძღვნიან...** ვიზიტის შედეგებს“ („კომ.“). ვინაიდან **კომენტარი** მხოლოდ აუცილებელ ახსნა-განმარტებასა და შენიშვნებს ვუღიანებოდა, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ინფორმაციას **კომენტარს უკეთებენ**, — და ბუნებრივი გამოთქმაც სწორედ ეს არის, ხოლო შესიტყვება **კომენტარს უძღვნის**, როგორც არაბუნებრივი და ტრადიციით გაუმართებელი, ლოგიკურად შეუსაბამო შესიტყვება, — უკუსაგდებიო.

მიღწევა დაამყარა. დაამყარებს ზმნის მნიშვნელობაა: დააარსებს, საფუძველს ჩაუყრის, შექმნის, დაამკვიდრებს, დასაბამს მისცემს, აღნიშნული ზმნა ფიგურალურ გამოთქმას ქმნის სახელთან **რეკორდი — რეკორდს დაამყარებს**, რაც ნიშნავს: უდიდეს მაჩვენებელს მიიღწევს სპორტის რომელსამე სახეობაში ან შრომის რომელსამე დარგში: „ტეხასის უნივერსიტეტის მორბენალთა ოთხეულმა... დარბაზების ახალი მსოფლიო **რეკორდი დაამყარა**“ („კომ.“); „ლუდმილამაც თავის სამუშაოზე ახალი **რეკორდი დაამყარა** და კიდევ უფრო დაწინაურდა“ (შ. დად.).

მაგრამ ზოგჯერ სპორტულ მიმოხილვებში ამ ზმნას უკავშირებენ **რეკორდის** ხელოვნურად გაჭართულებულ ვარიანტს — **მიღწევას**, რაც იძლევა სემანტიკურად სრულიად გაუმართლებელ შესიტყვებას — **მიღწევა დაამყარა**. მართალია, სახელური ნაწილი **მიღწევა** აღნიშნავს მუშაობის დადებით შედეგს, წარმატებას, მაგრამ მისი **დამყარება** არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ იგი არ არის უმაღლესი და ამ ეტაპზე მიღწეული ერთადერთი შედეგი. შდრ.: „მის მიერ დაკავებული მეორე ადგილი მიღწევად უნდა ჩაითვალოს“ („ლელო“). ამასვე მოწმობს ამ სახელის ჩვეულებისამებრ მრავლობით რიცხვში ხმარება: „ქარხნა **მიღწევებით** ხვდება ახალ წელს“ („კომ.“); „გაზეთები უკვე ალაპარაკდნენ ნატო ხარატიელის რგოლის **მიღწევებზე**“ (მიხ. მრევლ.)...

ამიტომ გასასწორებელია შემდეგი წინადადებები: „ხუთჯიღში სსრ კავშირის რეკორდსმენმა ვ. ტიხომიროვამ... ახალი მსოფლიო **მიღწევა** [უნდა იყოს: რეკორდი] **დაამყარა**“ („ლელო“); „13-14 წლიანებში საზოგადოების **მიღწევა** [უნდა იყოს: რეკორდი] **დაამყარა** ვ. მაისურაძემ“ („ლელო“).

მიჯნა იგივეა, რაც **საზღვარი, ზღვარი**. **მიჯნას** გაავლებს ნიშნავს: **გამიჯნავს**, გადატანით კი — ერთმანეთისაგან გამოყოფს, ერთმანეთს დააშორებს, გათიშავს.

მიჯნა ჰქვია საზღვრის ნიშანსაც, **სამანს**: „ზალიკოს ნახევარი საქონელი **მიჯნას გადაცილებული** ჰყავდა“ (შ. არაგვ.); „გოგონა ზე-

აზნეკილ თითებიან ხელს წინ წამოსწევს და ბიჭს მიჯნას უსვამს“ (რ. ინან.); იხმარება გამოთქმები: საუკუნის მიჯნა, ასაკობრივი მიჯნა და სხვ.

თანამედროვე სიტყვათხმარებაში მიჯნა სიტყვისაც იგივე ბედი ეწია, რაც ზღუდე, ზღვარი (იხ.) სიტყვებს. გახშირდა მისი შტამპურად ხმარებაც ძირითადი მნიშვნელობისაგან განსხვავებული ნიუანსით. გაჩნდა შესიტყვებები: მიჯნების აღება, მიჯნების დაპყრობა, მიჯნების დაძლევა, მიჯნების დასახვა, მიჯნების დაგეგმვა, მიჯნაზე გასვლა, მიჯნას გადაჰაარბა და მისთ. მეორე მხრით, მიჯნა ასეთ სახელურ შესიტყვებებში გვხვდება: ახალი მიჯნა, დაგეგმილი მიჯნა, დასახული მიჯნა, სერიოზული მიჯნა, ოსტატობის მიჯნა, სიმძლავრის მიჯნა, მოწინავეის მიჯნა, თითოეულის მიჯნა და სხვ. მაგ.: „სოფლის მშრომელებმა უკვე გააჩაღეს საყოველთაო სახალხო დაშქრობა ახალი წლის მიჯნების ასაღებად“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მშრომელები... მტკიცედ ირაზმებიან კოლმეურნეობის წინაშე მდგომი ახალი მიჯნების ასაღებად“ („კომ.“); „რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების მართლაც რომ გრანდიოზული ამოცანები მოითხოვს... იდეურ-მხატვრული ოსტატობის ახალი მიჯნების დაპყრობას“ („ლიტ. საქ.“); „ამ წარმატების პასუხად ახალი მიჯნების დაძლევის ამოცანები დავსახეთ“ („ლელო“); „უნდა დავსახოთ მიჯნა და უნდა ვიბრძოლოთ ამ მიჯნების გადასალახვად“ (ტელეგად.); „მ იანვარს საქართველოს მოსახლეობამ 5 მილიონს მიადწია, დღეს კი ამ მიჯნასაც გადაჰაარბა“ („ლელო“); „ასეთი მიჯნა აქვთ დასახული მიმდინარე... წლისთვის საქართველოს მევენახეებს“ („სოფლ. ცხოვრ.“); „საიუბილეო წელს თავიანთი მიჯნები ზუსტად დასახეს მრეწველობის მუშაკებთან ერთად ლენინგრაძელმა მეცნიერებმა“ („თბილ.“); „აეტოქარხნელებმა დასახეს ხუთწლეულის მეოთხე წლის მაღალი მიჯნები“ („კომ.“); „მათ საძლეისოდ ბევრად სერიოზული მიჯნები აქვთ დასახული“ („კომ.“); „უწინარეს ყოვლისა უნდა შევხებით მეჩაიეებს, რომლებიც შარშან ხუთწლეულის მიჯნაზე გამოვიდნენ“ („კომ.“); „ბევრი მეჩაიე უკვე წელს აპირებს გაეიდეს ხუთწლეულის დაძლევისათვის დაგეგმილ მიჯნებზე“ („კომ.“) და სხვ. როგორც ჩანს, ზოგ შემთხვევაში, მიჯნას იყენებენ მიზნის, ამოცანის, გეგმის, ვალდებულების, მიღწევის მნიშვნელობითაც, რაც ყოველთვის არ არის გამართლებული, თუ გავითვალისწინებდით ამ სიტყვის ძირითად მნიშვნელობას.

მიჯნა სიტყვის ეს ახალი მნიშვნელობები განსაკუთრებით სათაურებში გამოყენებისას ჩანს. მაგ.: „დღეს მოწინავეის მიჯნა — ხვალ თვითეულის (!) მიჯნა“ („კომ.“); „ახალი ხუთწლეულის მიჯნები“ („კომ.“); „მექალაქდეთა ახალი მიჯნები“ („მებრძ.“); „ძველი და ახალი

სიმძლავრის მიჯნა“ („თბილ.“) და მისთ. პრესაში ასეთი სათაურებით დაბეჭდილი წერილების შინაარსი ცხადყოფს, რომ მიჯნა (მიჯნები) უმეტესად გეგმის, ამოცანის, ვალდებულების და ზოგჯერ წარმატების სინონიმად იხმარება. ასეთი გამოყენების შემთხვევებში კი აღარ იგრძნობა კავშირი მიჯნა სიტყვის ამოსავალ მნიშვნელობასთან. ამიტომ ასეთი მეტაფორებით გატაცება თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

მკვეთრად ზმნისართი, რომლისთვისაც ამოსავალია ზედსართავი მკვეთრი, ნიშნავს: მკაფიოდ, აშკარად, გარკვეულად, გამოკვეთილად, ძლიერად, შესამჩნევად: „წითელი ლაქები უფრო მკვეთრად დააჩნდნენ თავადის ასულს შუბლზე“ (ი. აგლ., თარგმ.); „ფასების თანამიმდევრული შემცირების შედეგად მკვეთრად ამაღლდა მასების მიტერიალური კეთილდღეობის დონე“ („კომ.“); „ეს... მოკლედ, მაგრამ მკვეთრად გამოხატა მან თავის სიტყვაში“ („კომ.“)...

თანამედროვე ქართულში ზმნისართი მკვეთრად საკმაოდ ხშირად იხმარება და, ამასთან, არცთუ იშვიათად უმართებულოდ ენაცვლება სხვა — ამა თუ იმ ზმნისათვის უფრო შესაფერის ზმნისართებს. ამის გამო მან ზოგ შემთხვევაში დაკარგა თავისი თავდაპირველი გამომსახველობა და ერთგვარ ენობრივ შტამპად იქცა, ზოგჯერ კი სტილისტიკური თვალსაზრისით უხერხული ან სემანტიკურად ნაკლებად ექსპრესიული შესიტყვეებები მოგვცა. მაგალითად: „გიორგი რომ წაუყენეს... შაჰბაზს, ჰკითხა მან მკვეთრად [უმჯობესია: მკაცრად, მრისხანედ...]: რად არ მოჰკალი?“ (ვ. ბარ.); „ისტორიამ ლეო ქიაჩელსაც მკვეთრად მიუჩინა ადგილი [უმჯობესია: მიუჩინა გარკვეული, თავისი ადგილი]“ („საქ. ავიატ.“); „პაერი 11 კმ. სიმაღლეზედაც კი მკვეთრადაა გაქუჩყიანებული [უმჯობესია: ძალიან, საგრძნობლად... არის გაქუჩყიანებული]“ („ლიტ. საქ.“); „მან მუშაობა მკვეთრად [უმჯობესია: საგრძნობლად, აშკარად...] გამოაცოცხლა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „[ეს] ღონისძიებანი... მოგვეცემენ საშუალებას მკვეთრად [უმჯობესია: საგრძნობლად] გამოვასწოროთ სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა“ („სოფლ. ცხოვრ.“)...

მოაწყობს, მოაწყობბ. მოაწყობს ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა: მოაგვარებს, მოაწესრიგებს, ჩაატარებს, დააარსებს // შექმნის, მორთავს, გამართავს... ქართულისათვის ჩვეულებრივია: ექსკურსიის მოწყობა, საღამოს მოწყობა, აჯანყების მოწყობა, ოჯახის მოწყობა, ბინის მოწყობა და ა. შ. მაგრამ ბოლო დროს ამ ზმნამ, ისევე როგორც მისმა ვნებითის ფორმამ — მოეწყობა — გაიფართოვა მოხმარების არე და სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება.

1. **მოაწყობს არხებს. მოეწყო ტყე-ბაღები. ზოგჯერ მოაწყობს, მოეწყო ზმნები** უკავშირდება ისეთ სახელებს, რომლებთანაც სხვა ზმნის ხმარება სემანტიკურად უფრო გამართლებული იქნებოდა. მაგალითად: „**მოვაწყობთ** [უნდა იყოს: გაეყვანთ] ახალ სადრენაჟო არხებს“ („კომ. განთ.“); „**კურორტ ბახმაროში მოეწყო** [უმჯობესია: გაიყვანეს, გაყვანილია] კაბიტალური საქუჩო და საუბნო ელექტრო-განათების **მაგისტრალი**“ („სოფლ. ცხოვრ.“); „**მოეწყობა** [უმჯობესია: გაშენდება] **ტყე-ბაღები**“ („ლიტ. საქ.“)...

2. **მოაწყობს გახეირნებას. მოეწყობა დამთავრება.** უკანასკნელ ხანებში ქართულში მომრავლდა სახელურ-ზმნური შესიტყვებები, რომლებშიც ზმნები **მოაწყობს, მოეწყობა** დაკავშირებულია საწყისის ფორმებთან. ამ სახის სიტყვათშეხამებებში, ჩვეულებრივ, ზმნა შინაარსისაგან დაცლილია და მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს, სემანტიკური ფუნქციის შესრულება კი მთლიანად საწყისის (ან მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომ სახელს) ეკისრება. ასეთია: მოაწყობს შემოწმებას, მოაწყო მოვლა, მოეწყო გაყიდვა, მოეწყო გამოცხობა და სხვ. აღნიშნული ტიპის გამოთქმები, უპირატესად, ოფიციალური და წიგნური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი და მათი შენაცვლება, ძირითადად, ადვილად ხერხდება შესატყვისი მარტივი ზმნებით (მოაწყობს შემოწმებას — შეამოწმებს, მოეწყობა გაყიდვა — გაიყიდება...). ზოგჯერ აღწერითი ფორმების გამოყენება ენისთვის კანონზომიერი და გამართლებულია, მაგალითად, როდესაც მათ, შესატყვის ზმნებთან შედარებით, დამატებითი, განსხვავებული აზრობრივი ნიუანსი აქვთ (თუ, ეთქვათ, რაიმე საქმიანობის პროცესზე, მიმდინარეობაზეა საუბარი), ახსნაზღერელი ახლავთ, რომლის შეცვლაც ზმნისართით ყოველთვის ვერ ხერხდება და სხვ. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დასახელებული სახელურ-ზმნური შესიტყვებები ენაცვლება ქართულისათვის უფრო ბუნებრივ მარტივ ზმნა-შემსამენლებს და სტილისტიკურად მიუღებელია.

ამიტომ აღწერითი ფორმები უნდა შეიცვალოს მათი შესატყვისი ზმნებით შემდეგ წინადადებებში: „**ტურისტები მოაწყობენ** ავტობუსით **გახეირნებას** [უნდა იყოს: გაიხეირნებენ] ქალაქგარეთ“ („თბილ.“); „**ტრაქტორების რემონტი** კარგად **მოაწყებს** [უნდა იყოს: ტრაქტორები კარგად გაარემონტეს] აგრეთვე ხაშურის, ქარელის და სხვა რაიონებში“ („სოფლ. ცხოვრ.“); „**მიზანი** ისიც არის, რომ... **მოაწყონ** ქუჩებისა და გზების მდგომარეობის **შემოწმება** [უნდა იყოს: რომ შემოწმდეს ქუჩებისა და გზების მდგომარეობა]“ („თბილ.“); „**საკვებმომპოვებლების მტკიცე გადაწყვეტილება**ა სანიმუშოდ **მოაწყონ** ნათესი საკვები კულტურების **მოვლა** [უნდა იყოს: სანიმუშოდ მოუპარონ ნათესი საკვები კულტურებს]“ („ახ. ცხოვრ.“)... „**ეწყობა** ჭვავის ფქვილის... და ხორ-

ზღის ფქვილის ნარევი პურის **გამოცხობა** [უნდა იყოს: ცხვება... ნარევი პური]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „საჩაიეს ორივე სართულზე **მოეწყობა** ჩაის გაყიდვა [უნდა იყოს: გაიყიდება ჩაი]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „**მოეწყო** სავალი გზის ბილიკების **მოფენა** აგურის ფხვნილით [უნდა იყოს: ბილიკები მოფინეს აგურის ფხვნილით, ან: ბილიკებს მოაყარეს აგურის ფხვნილი]“ („საქ. ბუნ.“); „**მოეწყოს** პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის **ამაღლება** [უნდა იყოს: ამაღლდეს პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია]“ („კომ.“).

მოახდენს, მოხდება, მოახდენს გარდამავალი ზმნაა და მისი ძირითადი მნიშვნელობაა: იზამს, გააკეთებს, მოიმოქმედებს, ჩაიდენს რასმე; მოაწყობს; გასცემს... ეგევე ზმნა ქართულში განყენებულ სახელებთან შეხამებისას ქმნის მყარ გამოთქმებს: **შთაბეჭდილებას მოახდენს, გავლენას მოახდენს** და მისთ. „დედაკაცმა საშინელი საქმე **მოახდინა**: რამდენიმე დაწერილი თაბახი... თურმე შეუკეთა ბუხარს“ (ეკ. ვაბ.); „პროლეტარიატი აღრე თუ გვიან... **რევოლუციასაც მოახდენს**“ (ი. სტალი.); „მშვენიერმა ლექციამ დიდი **შთაბეჭდილება მოახდინა** მსმენელზე“ (დ. კლდ.); „განშორებას... ჩვეულებრივი **გავლენა არ მოუხდენია** თქვენზე“ (ი. აგლ., თარგმ.)...

მაგრამ ამ ბოლო დროს **მოახდენს** ზმნამ, ისევე როგორც მისმა ვნებითის ფორმამ — **მოხდება**, გაითართოვა მოხმარების არე და სხვი შემთხვევებშიც გამოიყენება: ხშირად ეს ზმნები დაკავშირებულია საწყისებთან და ქმნის ისეთ სახელურ-ზმნურ შესიტყვებებს, რომლებშიც, ჩვეულებრივ, ზმნა შინაარსისაგან დაცლილია და მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს, ხოლო სემანტიკური ფუნქცია მთლიანად საწყისს (ან მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომ სახელს) ეკისრება. ასეთია: **მოახდენს შემოწმებას, მოხდება დაცლა, ხდება ზრდა** და სხვ. აღნიშნული ტიპის გამოთქმები უმეტეს შემთხვევაში აწმყოს ფორმით გვხვდება და ოფიციალური, წიგნური მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი. ამასთან, მათი შენაცვლება, ჩვეულებრივ, ადვილად ხერხდება შესატყვისი მარტივი ზმნებით (მოახდენს შემოწმებას = შეამოწმებს, ხდება ზრდა = იზრდება, მოხდება დაცლა = დაიცვება...).

ენაში ამ სახის სიტყვათშეხამებათა გამოყენება ზოგჯერ გამართლებული და კანონზომიერია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში (განსაკუთრებით, როცა შესიტყვებაში მონაწილეობს გარდამავალი ზმნა **ახდენს**), ისინი ენაცვლებიან ქართულისათვის უფრო ბუნებრივ მარტივ ზმნა-შემასმენლებს, რაც სინტაქსურ-სტილისტიკური თვალსაზრისით გაუმართავ კონსტრუქციებს იძლევა: „**ელებულობთ** [უნდა: ვილებთ] საქმიან დადგენილებებს და **ვახდენთ** მისი შესრულების **შემოწმებას** [უნდა იყოს: გამოწმებთ, ვაკონტროლებთ მის შესრულებას]“ („ჭიათ.

მღ.)"; „მინერალური სასუქების შეტანას... ყოველწლიურად ახდენენ [უნდა იყოს: მინერალური სასუქები... ყოველწლიურად შეაქვთ]“ („სკ. და ცხოვრ.“); „გასწორებას ვახდენ [უნდა იყოს: ვასწორებ] ძირითადად ორი ხერხით“ („უე სკოლაში“); „მან... მოახდინა მკვეთრი დამუხრუჭება [უნდა იყოს: მკვეთრად, უცბად დაამუხრუჭა]“ („გამარჯვ.“); „გამომძიებელმა არ მოახდინა შემთხვევის ადგილის დათვალიერება [უნდა იყოს: გამოძიებელს არ დაუთვალიერებია შემთხვევის ადგილი]“ („საბჭ. სამართ.“); „ბევრმა კოლმეურნემ... დროულად მოახდინა არხებისა და პიდროტექნიკური ნაგებობათა წესრიგში მოყვანა [უნდა იყოს: დროულად მოიყვანა წესრიგში არხები და პიდროტექნიკური ნაგებობანი]“ („ახ. ცხოვრ.“); „მოვახდინეთ კადრების სწორად შერჩევა და გადაწოდება [უნდა იყოს: სწორად შევარჩიეთ და გადავანაწილეთ კადრები]“ („ახ. ცხოვრ.“); „მისი აღზრდა ხდებოდა [უნდა იყოს: ის იზრდებოდა] პოეტებისა და მსახიობების წრეში“ („საქ. ქალი“); „ამის შედეგად ყოველთვის დროულად ხდება ვაგონების დაცლა და საქონლის ადგილზე მიზიდვა [უნდა იყოს: დროულად იცლება ვაგონები და საქონელიც ადგილზე დროულად მიაქვთ]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ნაგანის სისტემის რეგულევრმა შთაუხერგა... მოეხდინა მოქალაქეთა ძარცვა [უნდა იყოს: ...გაემძარცვა მოქალაქეები] კურდღელაურის სასაფლაოზე“ („ალაზნ. განთ.“).

მოახმარს ზმნა მყარ ფრაზეოლოგიურ შესიტყვეებებს იძლევა რამდენიმე სახელთან შეხამებისას. ეს სახელებია: ძალა, ღონე, ძაღ-ღონე, ენერჯია, დრო, ცოდნა... მაგ.: „თქვენს მამულს მოახმარებთ... ცოდნას, თუ სამსახურში შეხვალთ?“ (ეკ. ვაბ.); „მთელ ძაღ-ღონეს იმას ახმარდა“ (დ. კლდ.); „მთელ თავის დროსა და ენერჯიას მიხეილ თარხნიშვილი საქართველოს ისტორიისათვის ძვირფასი მასალების... შესწავლას და გამომზეურებას ახმარდა“ („ლიტ. საქ.“); „დროის ის ნაწილი... მის სადოქტორო დისერტაციას... უნდა მოხმარებოდა“ („თბილ.“).

ამ შესიტყვებათა საერთო მნიშვნელობა გულისხმობს გარკვეული მოქმედების განხორციელებას: შრომის გაწევას, ვარჯის, მეცადინეობას, ძალისხმევას. ამიტომ თვით ამ მოქმედებათა აღმნიშვნელ სახელებთან (გარჯა, მეცადინეობა...) მოახმარს ზმნის შეხამება ლექსიკური თვალსაზრისით არასწორ შესიტყვეებებს იძლევა: მეცადინეობას მოახმარს, ძალისხმევას მოახმარს (ახმარს).

შეუსაბამობას ზრდის ამგვარ შესიტყვეებებში გამაძლიერებელი ზედსართავეების ხმარება. ზედსართავეები თავის ადგილასა, როცა განსაზღვრავს თვისებების აღმნიშვნელ არსებით სახელებს (ან საწყისებს): ძალას, ენერჯიას... მოქმედების გამომხატველ სიტყვებთან კი ეს მსა-

ზღვრელები არაბუნებრივ და უხერხულ შესიტყვეებებს ქმნიან. მაგ.: „იგი კვლავაც მთელ მეცადინეობას [უნდა იყოს: ენერგიას, ძალ-ღონეს] მოახმარს ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევას“ („კომ.“); „სახალხო მეურნეობის დარგების ინტენსიფიკაციის... ამოცანები გვიკარნახებს მთელი ძალისხმევა [უნდა იყოს: ძალ-ღონე, ენერგია] მოვანმაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ამ სფეროზე პარტიული ვაგლენის გაძლიერების პრობლემებს“ („კომ.“); „ჩვენი სახელმწიფო უდიდეს მეცადინეობას ახმარს გამაღებელი შეიარაღების ახალი ეტაპის თავიდან აცილებას [უმჯობესია: ყოველ ღონეს ხმარობს, ან: ძალ-ღონესა და ენერგიას არ იშურებს, სახსრებს არ ზოგავს შეიარაღების ახალი ეტაპის თავიდან ასაცილებლად]“. („კომ.“). მაშასადამე, გასწორება-ცვლილებათა შეტანისას უპირატესობა ბუნებრივ კონსტრუქციებს უნდა მიენიჭოს.

მოედანი — მინდორი. მოედანი ქართულში ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. შენობებით შემოფარგლული ფართო და სწორი ადგილი ქალაქად ან სოფლად: „მოედანზე ხალხი ირეოდა“ (ილია). იხ. აგრ.: წითელი მოედანი, თავისუფლების მოედანი, გმირთა მოედანი, კონსტიტუციის მოედანი... 2. სავარჯიშო, სათამაშო, სააღლუმო და მისთ. ასპარეზი: „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთაღსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯველ ქნევა“ (რუსთ.). მოედნის ეს უკანასკნელი, ოღონდ სემანტიკურად გადაწეული, მნიშვნელობა ივარაუდება მყარ გამოთქმაში ბურთი და მოედანი: „აჰა ბურთი და აჰა მოედანი, მზადა ვარ, გახლდეს თქვენი ნებათ“ (აკაკი). ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ერთმანეთს დაუკავშირდა ნიადაგ ერთად სახმარი სიტყვები: ბურთი და მოედანი, მობურთალი და მოედანი.

მოედანი სპეციალურად მოწყობილი ადგილია ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის... სათამაშოდ. სპორტის სახეობათა მიხედვით გვაქვს ფეხბურთის მოედანი, კალათბურთის მოედანი, ფრენბურთის მოედანი, საციგურაო მოედანი...

მოედანი თავისი ძირითადი, ტრადიციული მნიშვნელობით არის გამოყენებული ასეთ კონტექსტებში: „რუმინივე მაშინაც შეეკამათა მსაჯს და არბიტრმა იგი მოედნიდან გააძევა“ („კომ.“); „ატალახებული მოედანი რომ არა, თამაში ალბათ უფრო ლამაზიც იქნებოდა“ („ლელი“); „მოედანი, რომელზედაც მატჩი გაიმართება, საუკეთესო მდგომარეობაშია“ („ახ. კომ.“).

ბოლო დროს ტრადიციული (ფეხბურთის) მოედნის მნიშვნელობით სპორტული პრესის ენაში ფეხს იკიდებს (ფეხბურთის) მინდორი: „ფეხბურთის მინდორებზე“ („კომ.“ — სათ.); „ხვალ საქართველოს ქა-

ლაქებში, რაიონულ ცენტრებსა თუ სოფლებში, ყველგან, სადაც საფეხბურთო მინდვრებია, მოეწყობა დიდი დღესასწაული — ფეხბურთის დღე“ („კომ.“); „ვარშავაში მოგების შემდეგ მან საკუთარ მინდორზეც გაიმარჯვა“ („ლელო“); „მინდორზე გამოვლენ წარსულის გამოჩენილი ფეხბურთელები“ („ლელო“); „მინდორზე — ვეტერანები“ („ლელო“).

მინდორი, ერთ-ერთი მნიშვნელობით, სწორი და ბალახიანი ადგილია. ფეხბურთის თამაში ნებისმიერ თავისუფალ ადგილზე შეიძლება და, მით უმეტეს, მინდორზედაც. მაგრამ სიტყვის ასეთ არატრადიციულ გამოყენებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ვასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც: **მოედანი, მინდვრის** მსგავსად, მართო სწორი და ბალახიანი ადგილი კი არ არის, არამედ გარკვეული **დანიშნულებით გამოსაყენებლად სპეციალურად მოწყობილი ადგილი**. ეს შინაარსობრივი ნიუანსი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს **მინდორს**. ისეთი სპორტული ღონისძიება, როგორიც საფეხბურთო მატჩია, ფეხბურთის **მოედანზე** შეიძლება მოეწყოს და არა **მინდორზე**.

მინდვრის გამოყენება **მოედნის** მნიშვნელობით სათანადო რუსული შესიტყვების უხეირო თარგმნის შედეგია (შდრ. **футбольное поле**, რომლის ქართული შესატყვისი **ფეხბურთის მოედანია** და არა **ფეხბურთის მინდორი**). არც მნიშვნელობის თვალსაზრისით ფარავს ეს ორი სიტყვა ერთმანეთს. ამიტომ სალიტერატურო ენაში ასეთი ჩანაცვლება მიზანშეწონილი არ არის. უპირატესობა ყველა შემთხვევაში ტრადიციულ და მნიშვნელობის მიხედვით ზუსტ **მოედანს** უნდა მიენიჭოს.

მოგაგობება ზმნა უპირატესად უქონლობის ან მცირეოდენის მქონებლობის გამოსახატავად გამოიყენება. ბუნებრივი გამოთქმებია: **არ მოეპოვება, ცოტაოდენი მოეპოვება**. იხ. **გააჩნია**.

მოაქაძვება ზმნის გამოყენება უფრო ბუნებრივი ჩანს უარყოფით კონტექსტებში, ვიდრე დადებითში: **არ / არაფერი მოეძევება, ცოტა რამ მოეძევება**. იხ. **გააჩნია**.

მოთავსება მიმღობური ფორმაა და ნიშნავს: რაც სადმე მოათავსეს ან მოთავსდა; რასაც ადგილი მიუჩინეს; რაშიმე ან რაზედმე მოქცეული; შემოფარგლულ ადგილზე დაბინავებული. მაგ.: „სკოლა იყო მოთავსებული პაწაწინა სახლში“ (დ. კლდ.); „ერთ დიდ სახლში მოთავსებულია ქალაღის ქარხანა“ (ი. გოგებ.).

ხოლო თუკი რამე ვერ დააბინავეს, ვერსად მოათავსეს, იტყვიან, — ღია ცის ქვეშ დარჩა, ღია ცის ქვეშააო. ამ შინაარსს **მოთავსებულ-**ის სემანტიკა ველარ ეგუება, რადგან მოთავსება ღია სივრციდან შემოფარგლულ ადგილას, რაიმე სათავსში დაბინავებას გულისხმობს. შდრ.:

„სამწუხაროდ, ტექნიკა ღია ცის ქვეშ არის მოთავსებული [უნდა იყოს: ღია ცის ქვეშაა], კოლმეუნეობა მიმდინარე წელს ითვალისწინებს აავოს ტექნიკის მოსათავსებელი [სწორია] სპეციალური შენობა“ („კომ. დროშა“). ამ წინადადების პირველ ნაწილში ნაშყოს მიმღეობა — მოთავსებული — არასწორადაა ნახმარი, რამდენადაც საუბარი ენება შემოუფარგლავ სივრცეს, მეორე ნაწილში კი მყოფადის მიმღეობა — მოსათავსებელი — სწორად უხმარიათ, ვინაიდან კონტექსტში შემოფარგლულ სივრცეზეა საუბარი.

მოთხოვნა — მოთხოვნილება. ეს ორი სიტყვა პარონიმულად უკავშირდება ერთმანეთს: ნაწარმოებია ერთი და იმავე ფუძისაგან ერთი და იმავე ზმნისწინის დართვით და მსგავსი მნიშვნელობის მქონეა. ამის გამო ისინი არცთუ იშვიათად ერევათ ერთმანეთში (ამ ვითარებას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც ასახავს).

მოთხოვნილების ძირითადი მნიშვნელობაა საჭიროება. ეს სიტყვა მრავალ გამოთქმაში იღებს მონაწილეობას: ადამიანური მოთხოვნილებები, სასიცოცხლო მოთხოვნილება, შინაგანი მოთხოვნილება, სულიერი მოთხოვნილება, საქმლის მოთხოვნილება, წყლის მოთხოვნილება და მისთ. მაგ.: „ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაბადა ხალხის ცხოვრებაში“ (ილია); „ქალაქის ფართო მოსახლეობა მოკლებული იყო პირველი მოთხოვნილების საგნებს“ (ს. კლდ.); „...საშენ მასალათა მრეწველობის ბაზის მდგომარეობა და განვითარების ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება გავრდილ მოთხოვნილებებს“ („კომ.“); „ასეთი შრომა პიროვნების სულიერი მოთხოვნილებაა“ („თბილ.“); „გადავაქციოთ ფიზკულტურა და სპორტი ყველას შინაგან მოთხოვნილებად“ („თბილ.“); „ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ხელი უნდა შეუწყოს სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მუშაობის ორგანიზაციის ცენტრმა“ („კომ.“).

მოთხოვნა ნიშნავს უფლების ძალით თხოვნას, აგრეთვე, კატეგორიულად, დაყენებით თხოვნას: „მედიცინის მუშაკები... საბჭოთა კონსტიტუციის მოთხოვნათა დონეზე უნდა ვიყოთ და ვმუშაობდეთ“ („კომ.“); „...კანონების მოთხოვნათა უგულვებელყოფას ყველამ დაუნდობელი ომი [თუ ბრძოლა?] უნდა გამოვუცხადოთ“ („თბილ.“); „გამყიდველები ხილ-ბოსტნეულს? ყიდიან ფასდამახინჯებით, ვაჭრობის ელემენტარული მოთხოვნების გაუთვალისწინებლად“ („თბილ.“); „დეპუტატებმა... დეპეშა გაუგზავნეს... მეთაურს... მოთხოვნით დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ პოლიტიკური ბატიმრები“ („კომ.“); „თუკი ოდნავ დროს მოთხოვნების შესაბამისად მოვახდენთ მის მოდერნიზებას, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე ხანს შევინარჩუნოთ მისი მნიშვნელობა“ („ლიტ. საქ.“).

მიმართება მოთხოვნილებასა და მოთხოვნას შორის განსხვავებულ-
ლია იმისდა მიხედვით, ერთი და იმავე პირისაგან მომდინარეობენ
ისინი თუ სხვადასხვა პირისაგან (ან კოლექტივისაგან): თუ ერთ შემ-
თხვევაში მოთხოვნა გულისხმობს მოთხოვნილების, შინაგანი საჭიროე-
ბის გამოაშკარავებასა და ჩამოყალიბებას პრეტენზიის სახით, განა-
ცხადს საკუთარი საჭიროების შესახებ, მეორე შემთხვევაში მოთხოვნა
ვარაუდობს გარედან თავსმოხვეულ აუცილებლობას. შდრ., ერთი
მხრივ: „მას ბევრი მოთხოვნილება აქვს და შესაბამისად მოთხოვნასაც
ბევრს აყენებს“ (წინადადების ორსავე ნაწილში მას (იგი) სუბიექტია)
და, მეორე მხრივ: „მას ბევრი მოთხოვნილება არა აქვს (მას სუბიექტ-
ტია), თვით მას კი ბევრ მოთხოვნას უყენებენ“ (მას ობიექტია).

ამგვარი ნიუანსების გაუთვალისწინებლობა წარმოშობს მოთხო-
ვნისა და მოთხოვნილების აღრევას, ამასთან, ორმხრივ აღრევას, ე. ი.
გეგმდება:

ა. მოთხოვნა — ნაცვლად მოთხოვნილებისა: „მრავალი სახეობის
ნაწარმზე მოსახლეობის მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება“ („კომ.“);
„საცალო საქონელბრუნვის გეგმა ვერ სრულდება — აღნიშნეს მყიდ-
ველთა მოთხოვნის შესწავლისა და მისი დაკმაყოფილებისათვის მუ-
შაობის გაუმჯობესებისადმი მიძღვნილი... თათბირის მონაწილეებმა“
 („კომ.“).

ბ. მოთხოვნილება — ნაცვლად მოთხოვნისა: „ეს გამოფენა მეტ-
ყველეს მხატვრის დიდ გემოვნებასა და თავისი თავისადმი დიდ მო-
თხოვნილებაზე“ („ლიტ. საქ.“); „მოთხოვნილება უნდა წარედგინოს ქარ-
ხნის ადმინისტრაციას!“ (შ. დად.); „მადას“ ისე მაღალ მოთხოვნილე-
ბებს აღარ ვუყენებდი, როგორც წინათ“ („მნათ.“).

მოთხოვნილება სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით შეინიშნება
სხვა სახის სტილისტიკური დარღვევაც — სემანტიკური შეუხამებლობა
ზმნა-შემასმენელთან: „მომხმარებელთა შორის დიდი მოთხოვნილებით
სარგებლობს ...ხეილის ტოტსაჭრელი...“ („თბილ.“). უმართებულო
შესიტყვება მიღებულია ორი გამოთქმის კონტამინაციის შედეგად:
პოპულარობით სარგებლობს და დიდი მოთხოვნილებაა (რაიმეზე).
სწორი ვარიანტიც ამ ორი შესიტყვებიდან უნდა შეირჩეს.

მოიპოვება ზმნას ქართული ენა ძალიან შეზღუდულად იყე-
ნებს — ძირითადად, ნაკვთთა აწმყოს წყების მესამე პირის ფორმებით:
მოიპოვება, მოიპოვებოდა, მოიპოვებოდეს... აღნიშნული ზმნის მნიშ-
ვნელობებია: არის, არსებობს, იშოვება, მოიძებნება, შეიძლება მოი-
პოვონ. მაგ.: „მისი ბადალი არსად მოიპოვებო“ (ილია); „ცვარი ღვი-
ნო არ მოიპოვება ჩვენს მარანში, მარცვალი პური — ბელელში“
(ვაჟა); „საქართველოს წარსულზე ბევრი ხელნაწერი მოიპოვებოდა

ჩვენს ქვეყანაში“ (ი. გოგ.); „ამჟამად ამ მწკრივის შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა მოიპოვება“ („სკ. და ცხოვრ.“).

მოყვანილ წინადადებებში დასახელებული ზმნა ენაცვლება არის, არსებობს, მოიძებნება, იშოვება ზმნებს და ყველა შემთხვევაში ეს შენაცვლება დასაშვებია, არ იწვევს ბუნებრივი ქართულის რაიმეგვარ დარღვევას. მაგრამ აღნიშნულ ზმნათა შენაცვლება თანამედროვე ქართულში ყოველთვის მისაღები შეიძლება არ იყოს. მაგალითად, არ არის სწორი ქართულის ნიშნულში შემდეგი წინადადება: „ტყეებში მოიპოვება დათვი, მგელი, მელა, კვერნა, მაჩვი, გარეული ღორი, ირემი, შველი და სხე.“ („საქ. ბუნ.“).

შეცდომის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ სამეურნეო ტერმინოლოგიაში მასდარი მოპოვება ფართოდ მოიხმარება შოვნის მნიშვნელობით (შოვნა — გარჯის, შრომის გზით). მაგ.: „700-ზე მეტი დათვი მაქვს მოპოვებული, ასობით ჯიხვი, არჩვი და მგელი, სხვა წვრილმან ნადირს კი ვინ დაითვლის“ („საქ. ბუნ.“); „...დათვის მოპოვებაზე კი რა მოგახსენოთ, მაგრამ იგი მართლა დათვის მტერი რომ ყოფილა, ეს რაიონში ყველასათვის ცნობილია“ („საქ. ბუნ.“).

მაგრამ ეს ის მნიშვნელობაა მასდარისა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ორ-ან სამპირიანი აქტიური ზმნებით გადმოიცემა: დათვის მოპოვება — დათვი (მოვიპოვე, მოიპოვე) მოიპოვა, (მოუპოვე მოუპოვე) მოუპოვა და გამოხატავს სულ სხვა შინაარსს: შეიძინა, იშოვა; შეუძინა, უშოვა... სხვაგვარ კონტექსტში: მიადწია (მოიპოვა წარმატება=მიადწია წარმატებას), დაიმსახურა (მოიპოვა პატივისცემა=დაიმსახურა პატივისცემა) და ა. შ. (დაწვრ. იხ. ქეგლ). ზემოთ მოყვანილ წინადადებაში კი (ტყეებში მოიპოვება დათვი, მგელი...) უნდა ეხმარათ არის ან ბინადრობს ზმნები. თანამედროვე ქართული სწორმეტყველების თვალსაზრისით ერთპირიანი მოპოვება ზმნა ბუნებრივ შეხამებას ქმნის მხოლოდ ფლორისა და წიაღისეულის აღმნიშვნელ ლექსიკასთან როგორც წართქმით, ისე უქუთქმით წინადადებებში: მოიპოვება (არ მოიპოვება) წაბლი, თხმელა, წიფელი, .. ქვანახშირი, ნავთობი, რკინა...

მოიტანს ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა: მოვა და თან მოიყოლებს, წამოიღებს, გადმოზიდავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებს რამე საგანს. ამიტომ ეს ზმნა ბუნებრივ შესიტყვეებებს ქმნის კონკრეტულ სახელებთან. მეორე მხრივ, მოიტანს (მოუტანს, მოტანა) მყარ შესიტყვეებას ქმნის ისეთ სახელებთან, რომელთაც კონკრეტული, ნივთიერი სახე არა აქვთ (კერძოდ: ამბავი, პასუხი, სიტყვა).

თანამედროვე პრესის ენაში, კერძოდ, პუბლიცისტურ ნაწერებში მოიტანს ზმნა ხშირად ქმნის შესიტყვეებებს აგრეთვე შემდეგ სახელებ-

თან: ვნება, შემოსავალი, ნაყოფი, ეფექტი. მაგ.: „ამან კარგი ნაყოფი მოიტანა“ („წინსვ.“); „ამ საარაკო დოვლათმა 300 ათასი მანეთი შემოსავალი მოუტანა კოლმეურნობას“ („კომ.“); „სოფელს ვნება რით მოუტანო“ (ლ. მრელი); „თუ პირველ კრებულში უმთავრესად მხოლოდ ჩანდა ავტორის ნიჭიერება, ახლა ამ ნიჭმა მკითხველამდეც უხვად მოიტანა ნაყოფი“ („ცისკ.“); „ასეთი ღონისძიება მეტ ეფექტს მოიტანს“ („კომ.“).

ხაზგასმული სახელები აზრობრივად უფრო გამართულ, ბუნებრივ სიტყვათშეხამებებს ქმნიან სხვა ზმნებთან. კერძოდ, თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივი და ხშირად სახმარი გამოთქმებია: ვნებას აყენებს; შემოსავალს იძლევა // მისცემს; ნაყოფს იძლევა, გამოიღებს, მისცემს; ეფექტს იძლევა და ა. შ. მაგ.: „ამ ბრძნულმა მითითებამ თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო“ („ცისკ.“); „ამ სასიამოვნო მეგობრობამ კარგი ნაყოფი გამოიღო“ („სახ. გან.“); „ამ გაბედულმა ნაბიჯმა ნაყოფი გამოიღო“ („თბილ.“); „არაბთა ხანგრძლივმა ბატონობამ... უარყოფითი შედეგი გამოიღო“ („ქართ. ლიტ.“); „თბილისელთა გააზრებულმა თამაშმა სათანადო შედეგი გამოიღო“ („ლელო“); „ეს საინტერესო ღონისძიება... უკვე თავის შესანიშნავ ნაყოფს იძლევა“ („თბილ.“).

ამგვარი ბუნებრივი გამოთქმები ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე ქართულში და პუბლიცისტური სტილის ნაწერებში მათი ხმარების არის ხელოვნური შეზღუდვა მოიტანს (მოიტანა, მოტანა) სიტყვათა შემცველი შეხამებებით არ არის მართებული.

ზოგჯერ ზმნა მოიტანს ხელოვნურ სიტყვათშეხამებებსაც ქმნის. პრესაში დასტურდება ასეთი მაგალითები: „ყველაზე მეტი საზრუნავი და სატკივარი უმაღლეს სკოლას... მოუტანეს [უნდა იყოს: შეუქმნეს, გაუჩინეს] ნეგატიურმა მოვლენებმა“ („სახ. გან.“); „უსაქმოდ ატარებდა დღეებს და ცუდად ჯდომამ ცუდი საქციელიც მოიტანა [უნდა იყოს: ცუდად ჯდომას ცუდი შედეგიც მოჰყვა]“ („სოფლ. ცხოვრ.“); მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ წამლების რიცხვის უდიდესი ზრდა მოიტანა [უნდა იყოს: რევოლუციას... წამლების რაოდენობის ზრდაც მოჰყვა]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ეს სიმწარესთან ერთად უფრო მეტ სიტკბოს მოგიტანთ [ჯობს: სიტკბოსაც განგაცდევინებთ]“ („თბილ.“); „მაგრამ ...შეხვედრა ბოლომდე ითამაშა და გუნდს 23 ქულა მოუტანა [აჯობებდა: შესძინა, შემატა]“ („თბილ.“).

მოიხვეჭს ზმნა თანამედროვე ქართულში იხმარება მოპოვების, შექმნის მნიშვნელობით, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ სიტყვებთან. ჩვეულებრივი ბუნებრივი ქართული გამოთქმებია: მოიხვეჭა სახელი, დი-

დება; მოიხვეჭა ქონება, სიმდიდრე. მაგ.: „ამ მოთხოვნის გამოქვეყნებამ ეგნატეს სახელი მოიხვეჭა“ („ქართ. ლიტ.“); „ყველა ვაცემული ქონება... ხელახლად მოიხვეჭა“ (ილია).

თანამედროვე ქართულში განსაკუთრებით სპორტულ ინფორმაციებში, აღნიშნულმა ზმნამ გაიფართოვა მოხმარების არე, იგი უმართებულოდ ჩაენაცვლა ბუნებრივ შესიტყვებებში შემდეგ ზმნებს: **მოიბოვა**, **მიიღო**, **მიენიჭა**, **დაიმსახურა**. მაგ.: „ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭეს [სწორია: მოიბოვეს] მოსკოველებმა“ („ლელო“); „ო. ზორინამ ვერცხლის მედალი მოიხვეჭა [სწორია: დაიმსახურა, მოიბოვა] ფიგურულ სრილში“ („ლელო“); „ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭა [სწორია: დაიმსახურა, მოიბოვა] ნავის უმესაჟო ეკიპაჟმა“ („ლელო“); „ოქროს მედლები მათ მოიხვეჭეს [სწორია: მიიღეს, ან: ოქროს მედლებით ისინი დაჯილდოვდნენ] პამირზე“ („ლელო“); „ევროპის თასი მოტობურთში უკვე მესამედ მოიხვეჭეს [სწორია: მოიბოვეს] „კომეტის“ სპორტსმენებმა“ („ლელო“); „ასპარეზობაში პირველობა მოიხვეჭეს [სწორია: მოიბოვეს] საბჭოთა წყალბურთელებმა“ („ლელო“); „სურათზე: სპორტსმენთა მიერ ბოლო საკავშირო თამაშებში მოხვეჭილი [სწორია: მოპოვებული, მიღებული] ჯილდოები“ („ლელო“); „მსოფლიო ჩემპიონებმა მესამედ მოიხვეჭეს [სწორია: მოიბოვეს, დაიმსახურეს] ევროპის ჩემპიონთა წოდება“ („ლელო“).

მოიხვეჭა (მოიხვეჭეს) ზმნა უმართებულო სიტყვათშეხამებას ქმნის აბსტრაქტული შინაარსის სახელებთანაც. ესენია: **სიყვარული**, **ნდობა**, **სიბრალული**, **მოწონება**, **გამარჯვება**, **აღიარება**, **პოპულარობა** და მისთ. მაგ.: „მათ... მოსკოვის თეატრალური საზოგადოების სიყვარული მოიხვეჭეს [უნდა იყოს: დაიმსახურეს]“ („სამშ.“); „იგი ისე მონერბებულად შეინიღბა, რომ ხალხის სიბრალული, ბოლოს ნდობაც კი მოიხვეჭა [უნდა იყოს: დაიმსახურა]“ („ქართ. ლიტ.“); „ასეთ საქმეში იგი ახალბედა როდია. ამასთან საკმაოდ აქვს მომადლებული კომუნიკაბელობის ნიჭი, რომ ზოგიერთის ნდობა მოიხვეჭოს [უნდა იყოს: მოიბოვოს], სხვები გააცუროს“ („თბილ.“); „რაც მეტ აღიარებას იხვეჭენ [უნდა იყოს: იმსახურებენ] ისინი..., მით უფრო მაღალი და იჭვენეული მოთხოვნები გვიჩნდება მათ მიმართ“ („თბილ.“); „ნაწარმოებები საყოველთაო მოწონებასა და აღიარებას იხვეჭენ [უნდა იყოს: იმსახურებენ]“ („ქართ. ლიტ.“); „ამ ნაწარმოებმა დიდი მოწონება და აღიარება მოიხვეჭა [უნდა იყოს: დაიმსახურა] იმ წლების ლიტერატურულ და თეატრალურ წრეებში“ („კომ.“).

პრესის ენაში გვხვდება აგრეთვე ამ ზმნით შედგენილი შემდეგი არამართებული შესიტყვებებიც: **მოიხვეჭენ პოპულარობას** და **იხვეჭდა გამარჯვებას**. მაგ.: „არის ტურნირი, რომლებიც (!) თავისი მასშტაბუ-